პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

22 დეკემბერი სამშაბათი 1970

ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 298 (14902)

22 დეკემბერი — გოელროს 50 წლისთავი, ენერგეტიკის დღე

კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება პლუს მთელი ქვეყნის ელექტროფიკაცია.

ვ. ი. ლენინი

22 დეკემბერს შესრულდა 50 წლისთავი გოელროს გეგმისა, რომელიც 1920 წლის 22-23 დეკემბერს სრულიად რუსეთის საბჭოების VIII ყრილობამ მიიღო და დაამტკიცა. ვ. ი. ლენინის თქმით, გოელროს გეგმა პარტიის მეორე პროგრამა იყო. იგი 15 წლის ნაცვლად 10 წელიწადში, რეკორდულ ვადაში განხორციელდა.

განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი, მივაღწიოთ ახალ აღმავლობას

ამხანაგ ვ. პ. მჟავანაძის სიტყვა ქუთაისის XXIX საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე

ამხანაგებო!

უწინარეს ყოვლისა მინდა გამოვთქვა ღრმა კმაყოფილება იმის გამო, რომ კვლავ მომეცა საშუალება მონაწილეობა მივიღო ქუთაისის საქალაქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში.

ქუთაისი ჩვენი რესპუბლიკის მეორე ინდუსტრიული და კულტურული ცენტრია, ხოლო ქუთაისის პარტიული ორგანიზაცია არის სახელოვანი საბრძოლო, რევოლუციური და შრომითი ტრადიციების მქონე დიდი ორგანიზაცია, საქართველოს კომპარტიის ერთ-ერთი მოწინავე რაზმი.

ეს ერთხელ კიდევ დაადასტურა დღეკანდელმა პარტიულმა კონფერენციამ, რომელიც მაღალ ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დონეზე მიმდინარეობს და რომელსაც ახასიათებს კომუნისტების გაზრდილი აქტიურობა, საქმიანი მიდგომა და მომთხოვნელობა.

მე ყოველთვის მიხარია, როცა ჩამოვდივარ ქუთაისში, იხვევ როგორც რესპუბლიკის ყოველ სხვა ქალაქსა და რაიონში, რადგან ასეთი მოგზაურობის დროს ნათლად ვხედავ რაოდენ განსაცვიფრებელი გარდაქმნები ხდება ჩვენი ქალაქებისა და სოფლების ცხოვრებაში, როგორ იზრდებიან და იცვლებიან ისინი.

მომავალ წელს ჩვენ ზეიმით აღვნიშნავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავს, და როგორც ასეთ ღირსშესანიშნავ დღეებშია მიღებული, ჩვენ შეგეჯამებთ მიღწეულ წარმატებებს, თვალს გადავავლებთ განვლილ გზას, ერთმანეთთან შევადარებთ წარსულსა და დღეკანდელობას და, რა თქმა უნდა, მომავლისკენაც გავიხედავთ.

მთელ რესპუბლიკასთან, მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად ამ სახელოვან წლისთავს იდღესასწაულებს ქუთაისიც, და, ცხადია, თვითეული ჩაუკვირდება იმას, თუ რა მოგვიტანა საბჭოთა ხელისუფლებამ, რას მივაღწიეთ მისი გამარჯვების შედეგად, სოციალიზმის აშენებისა და კომუნიზმის შშენებლობის შეობებით.

ვაივლი ახლა ქალაქის განიერი, მოასფალტებული ქუჩებით და თვალს უხარია, როცა ხედავ ამდენ ახლადაშენებულ მრავალსართულიან საცხოვრებელ სახლებსა და სკოლებს, ქალაქის დამამშვენებელ ფართო მოედნებს, ახალ ხიდებს, თეატრებს, უმაღლეს სასწავლებლებს, სტადიონს, და უნებურად მოგაგონდება ძველი ქუთაისი — პატარა პროვინციული ქალაქი ვიწრო, ქვით მოკირწყლული ქუჩებით, დაბალი აგურის სახლებით.

ანდა გავიხსენოთ, რას წარმოადგენდა წინათ ქუთაისის მრეწველობა. ეს იყო პაპანინა, კუსტარული სახელოსნოები, რომლებშიც სულ სამასი კაცი თუ მუშაობდა. წლის განმავლობაში ეს ჯაჭა საწარმოები სამას ათას მანეთზე ნაკლები ღირებულების პროდუქციას უშვებდნენ.

შედარებისათვის აქვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიმდინარე წლის 11 თვეში ქუთაისის საწარმოებმა გამოუშვეს 860 მილიონ მანეთისაზე მეტი პროდუქცია, ამასთან ისინი აწარმოებენ არა 50 სახეობის სამრეწველო პროდუქციას, როგორც უწინ, არამედ 830 სახეობისას. ეს არის ავტომობილები და ტრაქტორები, ელექტრომანქანები და ავტომანქანების სათადარიგო ნაწილები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები და ლითოფონი, რეზინის ნაკეთობანი და კონსერვები, ქსოვილები და ფეხსაცმელი, ავეჯი და ბეროლი. ქუთაისის მარკული პროდუქცია ამჟამად ცნობილია საბჭოთა კავშირის თითქმის ყველა ქალაქში, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებში და საზღვარგარეთის სხვა სახელმწიფოებში. მარტო წელს ქალაქის სამრეწველო საწარმოებმა 158 ახალი სახის ნაკეთობათა გამოშვება აითვისეს.

რესპუბლიკის მრეწველობის საერთო მოცულობაში პროდუქცია, რომელსაც ქუთაისის საწარმოები უშვებენ, მნიშვნელოვანია. ვფიქრობ, ეს ციფრები თავისთავად მეტყველებენ! ხოლო თუ მრეწველობის ცალკეულ დარგებს ავიღებთ, აღმოჩნდება, რომ ქუთაისის წილად მოდის საქართველოში წარმოებული ელექტროენერგიის 7 პროცენტზე მეტი, კონსერვებისა — 12 პროცენტი, შალეული ქსოვილებისა — 15 პროცენტი და აბრეშუმის ქსოვილებისა — 62 პროცენტი.

ყოველივე ამას იმისათვის ვამბობ, რომ ერთხელ კიდევ ბაზგასმით აღვნიშნო, თუ როგორ გაიზარდა ქუთაისის სამრეწველო პოტენციალი საერთო-რესპუბლიკურ სამრეწველო წარმოებაში, რამდენად ამაღლდა მისი მნიშვნელობა საქართველოს სახალხო მეურნეობაში.

შენდება ახალი სამრეწველო საწარმოები, იზრდება სამრეწველო წარმოების მოცულობა, იზრდება ქალაქი, მატულობს მისი მოსახლეობა და პირველ რიგში მუშათა კლასი. საბჭოთა ხელისუფლების წლების მანძილზე ქუთაისის მოსახლეობა გაიზარდა ოთხჯერ და უფრო მეტად და ამჟამად შეადგენს 160 ათას კაცს, ხოლო მოსახლეობის 29 პროცენტს ანუ 35 ათას კაცზე მეტს შეადგენს სამრეწველო-საწარმოო პერსონალი.

აი როგორ იცვალა სახე ქუთაისმა საბჭოთა ხელისუფლების წლებში.

აქვე მინდა აღვნიშნო ერთი ფრიად საგულისხმო ფაქტი. გუშინ ვიყავით ქუთაისის საკონსტრუქტორო ბიუროში და ვფიქრობ, განა საგულისხმო არ არის, რომ ოდესღაც ჩამორჩენილ ხელოსნურ და შინამრეწველურ ქუთაისში ამჟამად არის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიურო, რომელიც ქმნის ტექნიკური საშუალებებს შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის, თანაც შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის არა წარმოებაში, რასაც თავისთავად დიდი მნიშვნელობა აქვს, არამედ საინჟინრო და სამმართველო შრომის მეცნიერული ორგანიზაციისათვის. აქ უკვე შემუშავებულია მთელი რიგი სისტემები და აპარატები და ახლა ისმება საკითხი, რომ ქუთაისში აშენდეს სამაზო საწარმო ორგტექნიკის ამ საშუალებათა სერიული დამზადებისათვის. ამის მეოხებით მიღწეული იქნება დიდი ეკონომიური ეფექტი.

ვფიქრობ, ეს ფაქტი დამაჯერებლად მოწმობს, თუ რა დიდი ცვლილებები მოხდა ქუთაისში განვლილი წლების მანძილზე და რამდენად წინ წავიდა ცხოვრება.

ქალაქის მშრომელები ცუდი მაჩვენებლებით როდი ამთავრებენ მიმდინარე სამეურნეო წელს. ყველას გვახარებს, რომ პროდუქციის გამოშვების ხუთწლიანი გეგმა სამრეწველო საწარმოებმა შეასრულეს 5 ნოემბრისათვის, ხოლო პროდუქციის რეალიზაციის მიმდინარე წლის 10 თვის გეგმა შესრულებული იყო 20 ოქტომბრისათვის და რომ წლის დამლევამდე გამოშვებული იქნება 60 მილიონ მანეთისაზე მეტი ზეგეგმითი პროდუქცია.

სასახელოდ იმუშავეს წელს ქალაქის მშენებლებმა და მემონტაჟეებმა, რომლებმაც აგრეთვე წარმატებით შეასრულეს თავიანთი საწარმოო დავალებანი. ბევრი რამ არის გაკეთებული საბინაო მშენებლობის გასაფართოებლად. ქალაქის კეთილმოსაწყობად, მშრომელთა ყოფაცხოვრების პირობების გასაუმჯობესებლად.

მაგრამ კომუნისტებს არ შეშვენით მიღწეულით დაკმაყოფილება. პარტია მოგვიწოდებს ვიაროთ წინ, ვიყურებოდეთ წინ, ვხედავდეთ ხვალინდელ დღეს.

აი რატომ არის საჭირო, რომ სამრეწველო საწარმოთა პარტიულმა ორგანიზაციებმა გაამახვილონ ყურადღება სამეურნეო გეგმების შესრულებასთან, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლებასთან დაკავშირებულ უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, რომლებიც მოითხოვენ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებას, მართვის სრულყოფას, ეკონომიური რეფორმის თანმიმდევრულ განხორციელებას.

ფრიად მნიშვნელოვანია, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის მთელი შემადგენლობის 57 პროცენტი დასაქმებულია სამრეწველო წარმოებას, მშენებლობის სფეროში, მუშაობს ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის საწარმოებში და სხვა. ეს იმის მაჩვენებელია, თუ რა დიდი ძალაა კომუნისტები წარმოებაში, რომ მათ შეუწევთ უნარი წარმატებით გადაჭრან ის დიდი ამოცანები, რომლებიც პარტიისა და მთავრობის მიერ დასახულია მრეწველობის, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების დარგში.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ხესიის მუშაობის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გაიმართა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის 1971 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, რომლებიც პლენუმის დავალებით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს განსახილველად შეიტანა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა გადაწყვიტა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მორიგი XXIV ყრილობა მოწვეულ იქნას 1971 წლის 30 მარტს.

პლენუმზე სიტყვით გამოვიდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ამხ. ლ. ი. ბრეჟნევი. მან დაახასიათა პარტიის პოლიტიკური და ორგანიზატორული საქმიანობა, რომლის მიზანია ხუთწლიანი გეგმის შესრულებას უზრუნველყოფა, ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის აღმავლობა, ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

პლენუმზე აღინიშნა, რომ პარტიამ და ხალხმა კარგად იმუშავეს ამ ხუთწლედში და რომ განსაკუთრებით დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობა მიღწეულია ლენინის საიუბილეო წელს.

საკმარისია ითქვას, რომ მარტო 1970 წელს წარმოებულია თითქმის ორჯერ მეტი სამრეწველო პროდუქცია, ვიდრე ომისწინა ყველა ხუთწლედში, რომ სახალხო მეურნეობის ძირითადი საწარმოო ფონდების მატება განვლილ ხუთწლედში გადაჭარბებს სსრ კავშირის ყველა ძირითად საწარმოო ფონდს 1955 წლის დამლევისათვის და რომ წელს მოყვანილია მარცვლეული კულტურებისა და ბამბის ყველაზე უხვი მოსავალი ჩვენი ქვეყნის მიწათმოქმედების მთელ ისტორიაში.

ნათქვამს ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ჩვენში წარმატებით ვითარდება მეცნიერება, ტექნიკა, კულტურა. ამას ნათლად ადასტურებს „ლუნა-16“ და „ლუნა-17“ ავტომატური კოსმოსური სადგურების შესანიშნავი ფრენა.

თუ რამდენად ამაღლდა ხალხის საკრებო დონე, ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ ჩვენი ხამშობლოს ეკონომიკის შემდგომი განვითარება და ჩვენი სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება შეხამებულია მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესების ტემპის მნიშვნელოვან დაჩქარებასთან.

ამგვარად, ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ ვთქვათ, რომ პარტიის XXIII ყრილობის მიერ დასახული ჩვენი ქვეყნის ეკონომიური და სოციალური განვითარების ამოცანები წარმატებით სრულდება.

რაც შეეხება პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის საგარეოპოლიტიკურ საქმიანობას, იგი მიზნად ისახავს ჩვენი სოციალისტური სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის კიდევ უფრო განმტკიცებას, ბრძოლას მშვიდობისა და სოციალიზმისათვის, ხალხთა ჩაგვრისა და აგრესიის ძალთა წინააღმდეგ. ჩვენ ყოველ ღონეს ვხმარობთ იმისათვის, რომ კიდევ უფრო განმტკიცდეს სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, რომელიც თანამედროვეობის გადამწყვეტ ძალას წარმოადგენს და რომლის გავლენა მსოფლიო განვითარების მსვლელობაზე განუხრელად იზრდება.

კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობას საბჭოთა ხალხი ეგებება შესანიშნავი შედეგებით, მტკიცედ დარწმუნებული ჩვენი პარტიის ხაზის სისწორეში, შესრულებული მოვალეობის გრძნობით. კომუნისტები, უპარტიოები მხარს უჭერენ პარტიის ხაზს, თავდადებულად შრომობენ მისი პროგრამის განსახორციელებლად, პარტიის მიერ დასახული ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971 წლის სახელმწიფო გეგმა, რომელიც 1971-1975 წლების მეცხრე ხუთწლიანი გეგმის შემადგენელი ნაწილს წარმოადგენს. 1971 წლის გეგმის მთავარი ამოცანებია სახოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, სოფლის მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებების შესაბამისად, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ამის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისა და საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების სწრაფი ტემპის უზრუნველყოფა.

22 დეკემბერს გაიმართება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია, რომელიც აგრეთვე განიხილავს ახალი 1971 წლის სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმას და რესპუბლიკის ბიუჯეტს.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ახალი წლის პირველი დღეებიდანვე ავიღოთ საჭირო ტემპი, მივაღწიოთ სიზუსტეს და რიტმულობას მუშაობაში, განუხრელად განვახორციელოთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებანი ხაზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის შესახებ, დავაჩქაროთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვა, უფრო რაციონალურად გამოვიყენოთ მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსები, სრულყოთ წარმოების მართვა, გავაძლიერეთ სახელმწიფო საგეგმო და შრომის დისციპლინა, ყოველი ღონისძიებით გავადიდოთ შრომის ნაყოფიერება, რაც ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძალების განმტკიცების გადამწყვეტი ფაქტორია.

ქუთაისი ძირითადად მანქანათმშენებელთა და ქიმიკოსთა ქალაქია. ამიტომ პარტიულმა აქტივმა უნდა იცოდეს, რომ ახალ წელს მანქანათმშენებლობა და ქიმია, ესე იგი მრეწველობის ის დარგები, რომლებიც მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავენ ტექნიკურ პროგრესს და ეფექტიანობის გადიდებას სახალხო მეურნეობაში, განვითარდებიან უფრო სწრაფი ტემპით, ვიდრე მთლიანად მრეწველობა.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ახალი ამოცანები, რომლებიც დასახულია მიმდინარე წლის დეკემბერში გამართული სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებით, დიდ პასუხისმგებლობას აკისრებენ და მაღალ მოთხოვნებს უყენებენ ქუთაისის საქალაქო პარტიულ ორგანიზაციას, ისევე როგორც ყველა პარტიულ ორგანიზაციას.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან): პირველ რიგში — ფოთის ელექტრომანქანური გამაძლიერებლების ქარხნის ბრიგადირი თ. ტაბაღუა, ცხაკაიას ჩაის ფაბრიკის ინჟინერ-ტექნოლოგი ე. მურღულია, ოგაოდეხის რაიონის სოფელ ნინიგორის კოლმეურნეობა „მეგობრობის“ თავმჯდომარე ი. აბრამიშვილი; მეორე რიგში — ხაშურის სალოკომოტივო დეპოს ელმავლის მემანქანე ო. რობაქიძე, თბილისის მარმელადის ფაბრიკის შემფუთველი მ. რასანახი, გეგეჭკორის რაიონის დიდი ჭყონის № 1 ჩაის ფაბრიკის მუშა ზ. ლიპარტია, წითელწყაროს რაიონის სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ნ. ყოჩიაშვილი.

ფოტო ვლ. ბინზაურგისა.

საქართველოს სსრ მეუფლე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მერვე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მერვე სესია გაიხსნება დღეს, 22 დეკემბერს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება დღეს, 22 დეკემბერს, დილის 9 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ამხანაგ ედვარდ გერეკს

ძვირფასო ამხანაგო გერეკ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი გულთადად გილოცავთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად არჩევას.

ჩვენი პარტია და საბჭოთა ადამიანები კარგად გიცნობენ თქვენ როგორც სახალხო პოლონეთის თვალსაჩინო პარტიულ და სახელმწიფო მოღვაწეს, საბჭოთა კავშირის გულწრფელ მეგობარს, მტკიცე ინტერნაციონალისტ კომუნისტს. პოლონეთის პროლეტარიატის წრეში რევოლუციური წრთობის მიღების შემდეგ თქვენ მრავალი წელი მოახმარეთ ბრძოლას მისი მართალი საქმისათვის, აქტიურად მონაწილეობდით ფრანგ და ბელგიელ მუშათა კლასობრივ ბრძოლებში, მეორე მსოფლიო ომის პერიოდის წინაადმდეგობის მოძრაობაში.

სახალხო პოლონეთში ხელმძღვანელ პარტიულ პოსტებზე ყოფნის დროს თქვენ ბევრი ძალ-ღონე და ენერგია შეალიეთ პოლონეთში სოციალისტური მშენებლობის საქმეს, მოიხვეჭეთ პოლონელ კომუნისტთა, ყველა პოლონელი მშრომელის დამსახურებული ავტორიტეტი და პატივისცემა. საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ იმ წვლილს, რომელიც თქვენ შეიტანეთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და საბჭოთა კავშირის კომუნისტური, პარტიის. პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ძმური ურთიერთობისა და თანამშრომლობის განვითარებასა და განმტკიცებაში.

ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ პოლონელ კომუნისტთა პარტია — თავისი რევოლუციური ტრადიციებით სახელგანთქმული მუშათა კლასის პირმშო, მისი მებრძოლი ავანგარდი — შეძლებს წარმატებით დაძლიოს ის სიძნელენი, რომლებმაც უკანასკნელ ხანს იჩინეს თავი ქვეყნის ცხოვრებაში, და შეაკავშიროს ყველა მშრომელს სოციალიზმის იდეალებისათვის, ადამიანის კეთილდღეობისათვის, ადამიანისათვის ბრძოლაში. ვუსურვებთ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტსა და პირადად თქვენ დიდ წარმატებებს ამ პასუხსაგებ კეთილშობილურ საქმეში.

დაე იზრდებოდეს და მტკიცდებოდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ერთიანობა, საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის ხალხთა ძმური კავშირი, სოციალისტური ქვეყნების შეკავშირება და თანამეგობრობა, საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის ერთიანობა.

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

მოსკოვი, 1970 წლის 21 დეკემბერი.

სოციალისტური კანონიერების ზუსტად დაცვისათვის

21 დეკემბერს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში გაიმართა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელ მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი.

თათბირის პრეზიდიუმში იყვნენ ვ. პ. მჟავანაძე, ბ. დ. ჯავახიშვილი, გ. ს. ძოწენიძე, შ. ი. ჭანუყვაძე, ნ. შ. ცხაკაია, შ. დ. კიკნაძე, ა. ნ. ინაური, ო. ი. ღოლაშვილი, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა მინისტრი, გენერალ-პოლკოვნიკი ნ. ა. შჩოლკოვი, აზერბაიჯანის სსრ შინაგან საქმეთა მინისტრი ა. ნ. ბეიდაროვი, შინაგან საქმეთა ორგანოებისა და ქვეგანაყოფების ხელმძღვანელი მუშაკები, რესპუბლიკის პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამინისტროებისა და უწყებების წარმომადგენლები.

თათბირი გახსნა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

მოხსენება რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაობა სკკპ XXIII ყრილობის დადგენილებათა შესრულებისათვის და სკკპ XXIV ყრილობის, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის ღირსეულად შეხვედრის ამოცანები გააკეთა საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა ე. ა. შევარდნაძემ.

მომხსენებელმა მოიყვანა მონაცემები, რომლებიც მოწმობენ, რომ ამ ბოლო ხანს ჩვენს რესპუბლიკაში დამკვიდრდა საბჭოთა მოქალაქეების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ღირსების დანაშაულებრივი ხელყოფის შემცირების ტენდენცია. სოციალისტური საკუთრების დაგაცებას, მექრთამეობას, სპეკულაციას, მყიდველთა მოტყუებას ამ ბოლო ხუთ წელიწადში გაძლიერებით ებრძვიან პარტიული და სახელმწიფო ორგანოები, მათ შორის შინაგან საქმეთა ორგანოები. მაგრამ მიღწეული დადებითი შედეგების მიუხედავად, თქვა ამხ. შევარდნაძემ, შინაგან საქმეთა ორგანოებმა ჯერ კიდევ ბევრი რამ უნდა გააკეთონ.

სკკპ XXIII ყრილობამ და პარტიის შემდგომმა გადაწყვეტილებებმა შინაგან საქმეთა ორგანოებს დაუსახეს ახალი ამოცანები, რომელთა გადაწყვეტა ხელს შეუწყობს წარმატებით ბრძოლას დანაშაულების წინააღმდეგ, რომელიც, ხალხის ცხოვრების პოლიტიკურ, სოციალურ-ეკონომიურ და კულტურულ სფეროებში უდიდესი რეგიონალური ძვრების მიუხედავად, კვლავ რჩება ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან პრობლემად.

განვლილი ხუთი წელი, აღნიშნა მომხსენებელმა, შინაგან საქმეთა ორგანოებისათვის იყო დიდი შემოქმედებითი ძიების, ახლის, პროგრესულის დამკვიდრებისა და იმაზე უარისთქმის წლები, რაც ხელს გვიშლის წინსვლაში. საქმიანობის გენერალური ხაზი გახდა დანაშაულების პროფილაქტიკა და მისი თავიდან აცილება. ამ პრინციპის თანამიმდევრული განხორციელების შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ რესპუბლიკის ორი ათასზე მეტ დასახლებულ პუნქტში მთელი რიგი წლების მანძილზე აღრიცხული არა ყოფილა არც ერთი დანაშაული. საქართველოში მნიშვნელოვნად შემცირდა ისეთი საშიში სახეობის დანაშაული, როგორიცაა მკვლელობა, ყაჩაღური თავდასხმა, ძარცვა. ხუთი წლის განმავლობაში თავიდან აავიცილეთ იმდენი დანაშაული, რამდენიც აღირიცხება სისხლისსამართლებრივი სამძებროს ხაზით საშუალოდ მთელ წელიწადში. პროფილაქტიკის მეოხებით მნიშვნელოვნად შევამცირეთ რეციდივისტთა რიცხვი, თავიდან ავიცილეთ სხვადასხვა სახის სამართალდარღვევა, და ამით შევამცირეთ დამნაშავეობის ზრდა. პროფილაქტიკა ნიშნავს ფართო სამართლებრივ პროპაგანდას მოსახლეობაში პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობით, პროკურატურის, სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროს, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ორგანოებთან საზოგადოებრივობის წარმომადგენლებთან მჭიდრო ურთიერთმოქმედებით. პრაქტიკა მოწმობს, რომ პროფილაქტიკური მუშაობის დიდ შესაძლებლობათა სწორი გამოყენების დროს შეიძლება მოვიპოვოთ მეტად მნიშვნელოვანი წარმატებანი. ეს შეეხება ქალაქებს თბილისსა და ფოთს, ზესტაფონს, ყვარლის, მცხეთისა და მთელ რიგ სხვა რაიონებს. ამას ვერ ვიტყვით გორის, წულუკიძის, წალენჯიხისა და ზოგიერთი სხვა რაიონის შესახებ, სადაც დანაშაულების რიცხვი არა მცირდება. 1966 წლიდან მოყოლებული ჩვენს რესპუბლიკაში განხორციელდა მთელი რიგი ღონისძიებანი, რათა ჩამოგვერთმია იარაღი, რომელსაც მოსახლეობა უკანონოდ ინახავს, აგრეთვე მოგვეწესრიგებინა მისი გაყიდვა და შენახვა. რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების დახმარებით დავამყარეთ წესრიგი ცეცხლსასროლი იარაღისა და ასაფეთქებელი ნივთიერებების აღრიცხვის, შენახვისა და გაყიდვის საქმეში. უფრო დაიხვეწა კანონმდებლობა იმ პირთა მიმართ, რომლებიც უკანონოდ ამზადებენ, ინახავენ ან ასაღებენ მათ. შემდეგ მომხსენებელი შეეხო ბრძოლას ხულიგნობის წინააღმდეგ. მუშაობა ამ მიმართულებით პარტიული ორგანოების ხელმძღვანელობითა და ფართო საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ცოტა როდი განხორციელდა. ახლა რესპუბლიკაში გაცილებით ნაკლები ხულიგნობა ხდება, ვიდრე ხუთი წლის წინათ, მაგრამ ბორჯომის, ბოლნისისა, გარდაბნის, გუჯარაულისა და მთელ რიგ სხვა რაიონებში ჯერჯერობით სუსტად იბრძვიან ხულიგნობის წინააღმდეგ. შინაგან საქმეთა ორგანოების ზოგიერთ მუშაკს დიდ ცოდვად არ მიაჩნია ისეთი მოვლენა, როგორიცაა ჭვრიტმანი ხულიგნობა.

ამოცანა ის არის, რომ მაქსიმალურად გავაძლიეროთ ბრძოლა ხულიგნობის წინააღმდეგ.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

უერთიერთგაგებისა და მეგობრობის ვითარებაში

21 დეკემბერს კრემლში დაიწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ნ. ვ. პოდგორნისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ა. ნ. კოსიგინის მოლაპარაკება არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პარტიისა და მთავრობის დელეგაციასთან არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ვიცე-პრეზიდენტის არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრის ალი საბრის მეთაურობით.

არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: პრემიერ-მინისტრის მოადგილე, მრეწველობის, ნავთობისა და მინერალური რესურსების მინისტრი აზიზ სიდკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე, საგარეო საქმეთა მინისტრი მაჰმუდ რიადი, სამხედრო მინისტრი მუჰამედ ფაუზი, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ელჩი საბჭოთა კავშირში მუჰამედ მუონიმ.

მოლაპარაკების მსვლელობაში, რომელიც მეგობრობისა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, მხარეებმა ერთმანეთს გაუზიარეს აზრები საბჭოთა კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ურთიერთობის საკითხებზე, აგრეთვე თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობა ზოგიერთ აქტიურ პრობლემაზე. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს ახლანდელ მდგომარეობას ახლო აღმოსავლეთში.

ორივე მხარემ სრული კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ სსრ კავშირსა და არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკას შორის ვითარდება მეგობრული თანამშრომლობა ყველა დარგში და ორივე მხარე მზად არის გააფართოონ და განაგითარონ ეს თანამშრომლობა.

შემდგომ დღეებში მოლაპარაკება გაგრძელდება. (საკდესი).

განვამტკიცოთ მოპოვებული წარმატებანი, მივაღწიოთ ახალ აღმავლობას

(დასასრული)

უნდა ვთქვა, რომ პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტის ვრცელ და შინაარსიან საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხ. ო. ბოკოიძემ, მოცემულია საქალაქო პარტიული ორგანიზაციის მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული საქმიანობის ღრმა ანალიზი, სწორად არის გამახვილებული უურადღება ჯერ კიდევ გადაუჭრელ ამოცანებზე, არსებულ ნაკლოვანებებზე და იმ ღონისძიებებზე, რომლებიც ამ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად უნდა განხორციელდეს.

ბევრად შეავსეს მოხსენება კამათში მონაწილე ამხანაგებმა. მათს გამოსვლებსაც კრიტიკული და თვითკრიტიკული ხასიათი ჰქონდა.

ყოველივე ეს იმას მოწმობს, რომ ქუთაისელ კომუნისტებს კარგად ესმით მათ წინაშე მდგომი ამოცანები, ნათლად ხედავენ განვითარების პერსპექტივას და უნარი შესწევთ გადაწყვეტონ დასახული ამოცანები.

ამიტომ ნება მიბოძეთ მოკლედ შევჩერდე პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მხოლოდ ზოგიერთ საკითხზე.

პირველი. ქალაქის პარტიული ორგანიზაციის პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზატორული მუშაობა რომ უფრო მაღალ დონეზე ავიყვანოთ, საჭიროა უწინარეს ყოვლისა გავაძლიეროთ მუშაობა პარტიული აქტივთან, გავაუმჯობესოთ მისი აღზრდა, იდეური წრთობა.

უნდა ითქვას, რომ პარტიის საქალაქო კომიტეტი სერიოზულ უურადღებას უთმობს პარტიული აქტივის სწავლებას. კარგი თანამშრომა მარქსიზმ-ლენინიზმის სალამოს უნივერსიტეტთან პარტიული მშენებლობის ჯგუფის შექმნა, სადაც სწავლობენ პირველადი პარტიული ორგანიზაციების, აგრეთვე კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები. კარგ შედეგს იძლევა პარტიის საქალაქო კომიტეტში მოწვეული ახალგაზრდა კომუნისტების შეკრებები, სადაც პარტიის ძველი წევრები, ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები გამოდიან პარტიული მუშაობის სხვადასხვა საკითხებზე. მინდობილი საქმისათვის აქტივის პასუხისმგებლობის გაძლიერებას ხელს უწყობს პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმებზე საქალაქო კომიტეტის წევრთა ანგარიშების მოსმენის პრაქტიკა.

საჭიროა განვაგრძოთ მუშაობა ამ მიმართულებით, ვინაიდან პარტიული აქტივი უნდა აძლიერებს ტონს თავის პარტიულ ორგანიზაციას, ყველაფერში მაგალითს უჩვენებდეს. აქტივისტი იმიტომ არის აქტივისტი, რომ წინ უძღოდეს ყველა კომუნისტს, ყველა მშრომელს, იყოს ფიქრი მებრძოლი, მაღალი და ფაქიზი ზნეობის ადამიანი, მუდამ ავანგარდულ როლს ასრულებდეს.

ამასთან დაკავშირებით საჭიროა გავაძლიეროთ მუშაობა კადრებთან, სრულყოფა კადრების შეერჩევა, განაწილება და აღზრდა. ყოველი ღონისძიებით გავაუმჯობესოთ მათი იდეური წრთობა და პროფესიული მომზადება, ადამიანებისადმი ნდობა შევახამოთ მათდამი მოთხოვნილებასთან, ეფექტიანი კონტროლი გავუწიოთ შესრულების შემოწმებას, გვახსოვდეს, რომ ეს არის კადრების სწორად აღზრდის, პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის განმტკიცების მნიშვნელოვანი საშუალება.

რამდენადაც ჩვენი აქტივის, ჩვენი კადრების იდეურ აღზრდაზე ჩამოვარდა ლაპარაკი, საჭიროა ვთქვათ, რომ ახლა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის წინ, მთელი ჩვენი იდეოლოგიური, იდეურ-აღზრდელობითი მუშაობა ახლ, კიდევ უფრო მაღალ საფეხურზე უნდა ავიყვანოთ.

ჩვენი პროპაგანდის, პარტიული ორგანიზაციების მთელი მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის, მთელი ჩვენი იდეოლოგიური ფრონტის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა ხუთწლიანი გეგმის შესრულების შედეგებისა და პარტიის მიერ 1971 წლისათვის დასახულ სამუშაოთა პროგრამის ყოველმხრივი განმარტება.

მასობრივი პროპაგანდისტული მუშაობის მთავარ შინაარსს უნდა შეადგენდეს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკის როგორც კომუნისტური მშენებლობის თანამედროვე ეტაპით განპირობებული ეკონომიური, პოლიტიკური და იდეოლოგიური ღონისძიებების მთლიანი, გაშლილი სისტემის ღრმა გაშუქება. ჩვენი ზეპირი და ბეჭდვითი პროპაგანდა უფრო ფართოდ უნდა აჩვენებდეს ხალხის მიღწევებს, აშუქებდეს ამ მიღწევათა სათავეებს, მათს მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, ამასთან განსაკუთრებულ უურადღებას უთმობდეს წარმოების მოწინავეთა, ხუთწლედის ნოვატორთა გამოცდილების გავრცელებას და დანერგვას.

ამასთან დაკავშირებით ძალიან დიდი და პასუხსაგები ამოცანები დგება ქუთაისის პარტიული ორგანიზაციების წინაშე, ყველა პროპაგანდისტისა და აგიტატორის წინაშე, საქალაქო გაზეთების — „ქუთაისისა“ და „კუტაისსკაია პრავდის“ წინაშე, რომლებიც უფრო მკაფიოდ უნდა აშუქებდნენ, თუ როგორ სრულდება პარტიის მიერ დასახული სოციალურ-ეკონომიური და სოციალურ-პოლიტიკური ამოცანები.

მეორე. მთელი ჩვენი მუშაობის წარმატება, ხელმძღვანელობის დონე, ცხოვრების ყველა მხარეზე პარტიული გავლენის ძალა და ქმედითობა დამოკიდებულია პირველადი პარტიული ორგანიზაციების ბრძოლისუნარიანობაზე, თვითეული კომუნისტის აქტივობაზე.

ქუთაისში სამასზე მეტი პირველადი პარტიული ორგანიზაციაა, ეს საკმაოდ განშტოებული ქსელია, ოღონდ საჭიროა სრულად გამოვიყენოთ ყველა შესაძლებლობა, რაც პარტიის ამ ძირითად რგოლებს აქვთ. საანგარიშოსაარჩევნო კრებებზე კომუნისტებმა გამოთქვეს ბევრი მნიშვნელოვანი წინადადება და კრიტიკული შენიშვნა, საჭიროა რაც შეიძლება სრულად გავითვალისწინოთ ეს წინადადებანი და შენიშვნები და განვახორციელოთ, რეალურ, პრაქტიკულ საქმეებად ვაქცეოთ ყველაზე მნიშვნელოვანნი.

საჭიროა ყოველი ღონისძიებით ავამაღლოთ პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი და ავტორიტეტი, მხოლოდ მაშინ გადაიქცევიან ისინი კომუნისტების აღზრდის ნამდვილ სკოლად, მათი იდეური წრთობის სკოლად.

მესამე. ქალაქის პარტიული ორგანიზაცია მეტ უურადღებას უნდა უთმობდეს ქალთა შორის მუშაობას. ჩვენში ახლა აღარ იმართება ქალთა ყრილობები, როგორც ეს ხდებოდა საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში, ვინაიდან ამჟამად ამის საჭიროება აღარ არის. ქალებს თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ ჩვენს საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ეს ნათლად ჩანს ქუთაისის მაგალითზეც. საკმარისია ითქვას, რომ ქალაქის პარტიული ორგანიზაციის 30 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ. რომ დაახლოებით 30 ათასი ქალი მუშაობს მრეწველობის, სახალხო განათლების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის დარგში, რომ 220 ქალს უჭირავს ხელმძღვანელი თანამდებობის, მათ შორის 80 ქალი პარტიული ორგანიზაციის მდივანია. 132 ქალი ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს დეპუტატია.

აი რა დიდი ძალაა ჩვენი ქალები. საჭიროა კვლავაც ჩავაბაი ისინი აქტიურ სამეურნეო და საზოგადოებრივ საქმიანობაში, გამოვიჩინოთ მათ მიმართ ჯეროვანი უურადღება და ზრუნვა. ქალი — დედა, ქალი — მშრომელი, ქალი — დიასახლისი უეჭველად ღირსია ამ უურადღების და ზრუნვისა.

ასეთივე უურადღება და ზრუნვა უნდა გამოვიჩინოთ ჩვენი მუშა და მოსწავლე ახალგაზრდობისადმი, აღვუზარდოთ ღირსეული ცვლა მამებსა და დედებს. ეს მთელი ჩვენი მუშაობის მეტად სერიოზული უბანია. შემთხვევით როდი ვამბობთ, რომ ახალგაზრდობა ჩვენი მომავალი და ჩვენი იმედია. ქუთაისის სკოლებში სწავლობს 28 ათასი მოსწავლე, 5 ათასამდე — საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, 4 ათასამდე — პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში. 6 ათასამდე კაცი უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტია. ახლა ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის გარდა აქ შექმნილია საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტისა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ფილიალები.

ყოველივე ეს რომ ვიანგარიშოთ, მივიღებთ მოსწავლე ახალგაზრდობის საკმაოდ დიდ რაზმს. საჭიროა აგრეთვე იმის გათვალისწინება, რომ ქალაქის საწარმოებში ძირითადად მუშაობს ახალგაზრდობა, რომ ქუთაისში 27 ათასი კომკავშირელია. ეს ავალებს ქუთაისის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს მუდმივი, ყოველდღიური ზრუნვა გამოიჩინონ მოზარდი თაობის მიმართ, აღზარდნენ ქალიშვილები და ვაბუკები ჩვენი სოციალისტური სამშობლოსა და კომუნისტური პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულების სულისკვეთებით.

ქუთაისის ახალგაზრდობა სათუთად უნდა ინახავდეს თავისი ქალაქის გმირული წარსულის ფურცლებს, კარგად იცოდეს რევოლუციური მოძრაობის, საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლის ისტორია, რომელიც დაკავშირებულია იოსებ ხტალინის, ალექსანდრე წულუკიძის, მიხა ცხაკაიას და ხალხის სხვა ერთგული შვილების, მგზნებარე მარქსისტ-ლენინელების სახელთან.

მეოთხე. საჭიროა უფრო აქტიურად ჩავაბაი ახალგაზრდობის აღზრდაში, მთელ კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაში ქალაქის ინტელიგენციის დიდი რაზმი.

ქუთაისი ქართული კულტურის დიდი კერაა. იგი მდიდარია თავისი თეატრალური და მუსიკალური ტრადიციებით. აქ იწყებდნენ თავიანთ შემოქმედებითს საქმიანობას ჩვენი გამოჩენილი კომპოზიტორები მელიტონ ბალანჩივაძე და ზაქარია ფალიაშვილი, აქ მუშაობდნენ ცნობილი რეჟისორები და მსახიობები კოტე მარჯანიშვილი და ლადო მესხიშვილი, ვასო აბაშიძე და ვალერიან გუნია, ნუცა ჩხეიძე და ალექსანდრე იმედაშვილი, ვერიკო ანჯაფარიძე და ვასო ყუშიტაშვილი, უშანგი ჩხეიძე და აკაკი ვასაძე, სერგო ზაქარიაძე და დოდო ანთაძე.

რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო ქუთაისში თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის ფილიალის გახსნა. როგორც ცნობილია, სახელმწიფომ ამ მიზნისათვის დიდი სახსრები გაიღო. ადგილობრივმა ორგანოებმა უკეთესად უნდა გამოიყენონ გაზრდილი შესაძლებლობანი მშრომელთა ფართო ესთეტიკური აღზრდისათვის, ჩაუნერგონ მათ ინტერესი მუსიკალური კულტურისადმი, უფრო ხშირად გამართონ გასვლითი სპექტაკლები და კონცერტები ახლომდებარე ქალაქებსა და რაიონებში.

ნავარაუდევია ქუთაისში გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ ფილიალის შექმნა, იზრდება ლიტერატურული ალმანახის პერიოდულობა. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილებას გაუმჯობესოს თავისი საქმიანობა, უფრო აქტიურად ჩაებას ლიტერატურულ ცხოვრებაში ახლომდებარე ქალაქებისა და რაიონების მწერლები, განაგრძოს დიდი ხნის სახელოვანი ლიტერატურული ტრადიციები, რომლებიც დაკავშირებულია აკაკი წერეთლისა და გალაქტიონ ტაბიძის სახელთან.

ქალაქის ინტელიგენციას შეუძლია და ვალდებულიც არის დიდი დახმარება გაუწიოს პარტიულ ორგანიზაციებს მთელ იდეოლოგიურ, აღმზრდელობითს მუშაობაში, კერძოდ, ახალგაზრდობის, ყველა მშრომელის ინტერნაციონალურ აღზრდაში.

ქუთაისი ხომ ინტერნაციონალური ქალაქია. აქ ცხოვრობენ და ხელიხელჩაკიდებულნი ერთ მეგობრულ ოჯახად შრომობენ ქართველები, რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, ებრაელები, ხომხები, აზერბაიჯანელები. ქალაქის პარტიულ ორგანიზაციაში 20 ეროვნების კომუნისტებია გაერთიანებული. ამიტომ ჩვენი უურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს ადამიანთა ინტერნაციონალური აღზრდის, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის სულისკვეთებით აღზრდის საკითხები.

ამას წინათ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია იყო ერევანში, სადაც მონაწილეობა მიიღო ხომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამაარებისა და ხომხეთის კომპარტიის შექმნის 50 წლისთავის დღესასწაულში, ხოლო მანამდე ახეთივე ღირსშესანიშნავ თარიღებთან დაკავშირებით ბაქოსა და ალმა-ათაში, მინსკსა და კიევში გამართულ დღესასწაულებში.

უნდა ითქვას, რომ ეს იყო დაუვიწყარი, მუდამ მოსაგონარი დღეები, ეს იყო მეტად გულთბილი შეხვედრები. ეს იყო საბჭოთა ხალხების მეგობრობისა და ძმობის, მათი მონოლითური შეკავშირებისა და ურღვევი ერთიანობის ნათელი დემონსტრაცია.

დაე ეს შეხვედრები იყოს იმის საწინდარი, რომ კიდევ უფრო განამტკიცებენ მეგობრობას და ძმობას საბჭოთა ადამიანები, რომლებსაც აერთიანებს ერთი საერთო მიზანი — ბრძოლა კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის.

დაე მეგობრობისა და ძმობის იდეები კიდევ უფრო აერთიანებდნენ ქუთაისის მშრომელებს მათს ერთობლივ ბრძოლაში მშობლიური ქალაქის აყვავებისათვის, მისი ეკონომიკისა და კულტურის განმტკიცებისათვის, მისი მცხოვრებლების კეთილმოწყობის გაუმჯობესებისათვის.

ამ მხრივ ქალაქში ცოტა როდი კეთდება — მიმდინარეობს ხაბინარ მშენებლობა, ქუჩების მოასფალტება და გამწვანება, უმჯობესდება ქალაქის ტრანსპორტის მუშაობა, ფართოვდება მოსახლეობის სავაჭრო და საყოფაცხოვრებო მომსახურება.

ერთი სიტყვით, ბევრია გაკეთებული. მაგრამ კიდევ უფრო მეტია გასაკეთებელი. უნდა ვიფიქროთ, რომ ქუთაისის შემდგომი კეთილმოწყობის, სანიაო მშენებლობის გაფართოების, წყალსადენის რეკონსტრუქციის, ქალაქის სრული კანალიზაციის საკითხები პრაქტიკულ გადაწყვეტას მოიკებენ.

ქუთაისელები თავიანთი ქალაქის დიდი პატრიოტები არიან. ეს ასეც უნდა იყოს. მაგრამ თავისი ქალაქისადმი სიყვარული უნდა მეღაჯნებოდეს კარგ, სასარგებლო საქმეებში, იგი რეალური პრაქტიკული ღონისძიებებით უნდა ვლინდებოდეს. ჭეშმარიტი პატრიოტი, პატრიოტი არა სიტყვით, არამედ საქმით, ის ჯრის, ვინც უფრთხილდება სახალხო დოვლათს, ვინც იცავს საცხოვრებელ ფონდს, ვინც ზრუნავს იმისათვის, რომ ქუჩრები და ეზოებში იყოს სისუფთავე, ვინც ამწვანებს და ამშვენებს თავის მშობლიურ ქალაქს, ვინც მტკიცედ იცავს საზოგადოებრივ წესრიგს და სხვებსაც ამისათვის პოულობდეს.

ქუთაისელებს, როგორც მთელ ჩვენს ხალხს, ახასიათებს ზრდილობა, მაღალი კულტურა, თავაზიანობა. სახუურველია, რომ ამ თვისებებით მუდამ იყვნენ გამსჭვალულნი ქალაქის მცხოვრებნი — ეს თვისებები ხელს უწყობენ კარგი, ხალისიანი განწყობილების შექმნას, ხოლო როცა განწყობილება კარგია, ცხოვრებაც და შრომაც სასიხარულოა.

დღევანდელი პარტიული კონფერენცია შეიკრიბა მომდინარე წლის მიწურულს, ახალი, 1971 წლის წინა დღეებში.

ეს ახალი წელი განსაკუთრებული იქნება. ეს იქნება ახალი ხუთწლედის პირველი წელი. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXIV ყრილობის წელი, საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის წელი.

ნება მიბოძეთ მოგილოცოთ ყველას მომავალი ახალი წელი, გისურვოთ ახალი დიდი წარმატებანი მუშაობაში, ჯანმრთელობა და ბედნიერება, აგრეთვე გამოვიქვა მტკიცე რწმენა, რომ ქუთაისის კომუნისტები ღირსეულად გაართმევენ თავს დასახულ ამოცანებს, სათავეში ჩაუდგებიან ქალაქის მშრომელთა შრომითსა და პოლიტიკურ აღმავლობას, რაც გამოწვეულია პარტიისა და ხალხის ცხოვრების ღირსშესანიშნავი მოვლენისათვის — საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობისათვის მზადებით. (ტაში).

ბრინჯაოულად, თვითკრიტიკულად

რეპორტაჟი ქუთაისის საქალაქო პარტიული კონფერენციიდან

□

ქარში, ხალისიანი განწყობილებით მოვიდნენ ქუთაისელი კომუნისტები თავიანთ საქალაქო პარტიულ კონფერენციაზე. ქალაქის მრეწველობამ ნაკისრი ვალდებულებით გათვალისწინებულ ვადაზე ადრე — ჯერ კიდევ 5 ნოემბრისათვის — შეასრულა პროდუქციის წარმოების ხუთწლიანი გეგმა, ხოლო მიმდინარე წლის დავალება ძირითად სახეობათა ნაწარმის რეალიზაციის მოცულობისა და გამოშვების მსრივ ასევე ვადამდე — 13 დეკემბრისათვის, პარტიული კონფერენციის გახსნის დღისათვის გაანაღდა.

— წლის ბოლოსდე ხუთწლიანი გეგმის გადამამტკიცებელ ბამოშუშვებით 60 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქციას — ასეთია ქუთაისელთა სტაკვა, და იგი, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც საქმედ იქცევა.

1970 წელს ასეთი შესანიშნავი წარმატებებით რომ ამთავრებენ, ქუთაისელ კომუნისტებს, ცხადია, სრული საფუძველი აქვთ ამაყობდნენ. მაგრამ ისინი კარგად ითვალისწინებენ იმასაც, რომ წინ ახალი, კიდევ უფრო დიდი ამოცანებია გადასაწყვეტი, არის გადაუჭრელი საკითხებიც და ხარვეზებიც.

სწორედ ამ ნიშნით, მთელი გაწეული მუშაობის ფართო პარტიული დათვალიერების ნიშნით, წარიმართა საქალაქო პარტიული კონფერენცია, რომელსაც წითელ ზოლად გასდევდა ზრუნვა წარმოების განვითარებისათვის, მისი ეფექტიანობის შემდგომ ამაღლებისათვის.

— რეპორტ სრულდება სახელმწიფო დავალებანი, რა გაკეთდა და რა უნდა გაკეთდეს შრომის ნაყოფიერების ზრდის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესების, მისი თვითღირებულების შემცირებისათვის, ზარმოებისა და ადამიანების — შეასრულა ამ ამოცანა ეს ორგანიზაციამ, — ასეთია ამ ანგარიშის ძირითადი საკითხი.

როგორც ქარხნის დირექტორმა ალ. ოსტროშინმა განაცხადა, ქარხანა მოკლე ხანში დაწინაურდა. მისმა კოლექტივმა ზედიზედ ოთხჯერ დაიმსახურა სხვა კაჟმირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. ქარხანამ ვადამდე, ამასთან ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა ხუთწლედის დავალება.

კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების ამაღლებას შეეხო თავის გამოსვლაში აბრეშუმის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. დოლონაძე.

როგორც მან თქვა, საამქროებისა და განყოფილებების პარტიულ ორგანიზაციებში მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში განისიეკენ მოსკოველი მეფოლადის პ. აბამკინის წერილი „კომუნისტი. თავის ორგანიზაციაში“. ამ წერილის განხილვამ, აგრეთვე კომუნისტების თვითანგარიშების პრაქტიკამ, თვითეული კომუნისტისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებამ ამაღალა მათი პასუხისმგებლობა ხალხისადმი. ყველაფერმა ამან თავის მხრივ დიდი გავლენა მოახდინა კოლექტივის ფინანსურ მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაზე.

კომბინატის კოლექტივმა 5 დეკემბრისათვის შეასრულა ხუთწლედი. წლის ბოლომდე ფეიერება კიდევ დამატებით მისცემენ სამშობლოს სამი მილიონი მანეთის პროდუქციას.

ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ფხაკაძემ ილაპარაკა ქარხნის კოლექტივის შემოქმედებითს შრომაზე, ადამიანთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდასა და კომუნისტური შეგნებულობის განვითარებაზე. პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოკიდა ხელი ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას.

წარმოებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული საავტომობილო ქარხნის სექციონერ-გამმართველის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ხუსარაძის გამოსვლა.

წარმატებები არის, მაგრამ, როგორც ეს კონფერენციაზე ითქვა, კარგ საერთო მაჩვენებლებს მიღმა ჯერ კიდევ ბევრია სარგებელი, ჩრდილოვანი მხარე.

კრიტიკას ვერ გაეკენენ № 1 სამკერვალო გაერთიანება, ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი და საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმის ქარხნების, სისდამშუშავებელი კომბინატის ხელმძღვანელები. მათ თავი ვერ გაართვეს საქმეს და მიმდინარე წლის ათი თვე ჩამორჩენით დაამთავრეს.

კონფერენციაზე მკაცრად გაკიცრიკეს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, რომელიც დამშვიდებით შესცქერან ქუთაისის ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნისა და საშენ მასალათა კომბინატის ჩამორჩენას. ისიც ითქვა, რომ აღნიშნულმა კომბინატმა მშენებლებს დააკლო 5 მილიონ 879 ათასი ცალი აგური. აქ მივიწყებულია ახალი ტექნიკის დანერგვა, წარმოების კულტურა, არა ჩანს ზრუნვა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მრეწველობის მუშაობას საქმიანი ანალიზი რომ გაუკეთეს, კონფერენციის მოსაყვანეს, თუ ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებამ, კომუნისტთა აქტიურობამ და ავანგარდული როლის ამაღლებამ რაოდენ კეთილსასურველი გავლენა მოახდინა ზოგიერთი საწარმოს ჩამორჩენის დაძლევაზე, მათს დაწინაურებაზე.

ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხანაში, რეგორც ამ ქარხნის დირექტორმა ვ. სარმბაშაძემ აღნიშნა, ხუთწლედის მანძილზე პროდუქციის წარმოება ერთიორად გაიზარდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 74 პროცენტით ამაღლდა. უკანასკნელ სამ წელიწადში პროდუქციის რეალიზაციის მოცულობის გეგმას აქ მილიონობით მანეთით გადაამეტეს.

ორატორმა ისიც აღნიშნა, რომ ქარხანამ მიმდინარე წლის ხუთ თვეში 245 დასახელების სათადარიგო ნაწილებიდან ვერ შეასრულა 44 დასახელების გამოშვების დავალება. ჩამორჩენის დასაძლევად პარტიულმა კომიტეტმა არა მარტო შეიმუშავა, კიდევაც საქმით განახორციელა მოფიქრებული ღონისძიებები.

აერომშენებლობამ მოკლე ხანში დაძლიას ჩამორჩენა და განაღლილ თერთმეტ თვეში გადაჭარბებით შეასრულეს პროდუქციის გამოშვების დავალება.

ლითონფონის ქარხანა წლობით ერთ ადგილს ტკეპნიდა, ყველა მაჩვენებლის მიხედვით ჩამორჩენოდა. ასე მოატანა 1968 წლამდე. ქარხნის პარტიულმა კომიტეტმა, დირექციასთან ერთად, ღრმად შეისწავლა ჩამორჩენის მიზეზები, მათი დაძლევის გზები, კოლექტივის თვითეულ განუმტკიცა საკუთარი ძალების რწმენა, სწორად გაანაწილა ადამიანები.

როგორც ქარხნის დირექტორმა ალ. ოსტროშინმა განაცხადა, ქარხანა მოკლე ხანში დაწინაურდა. მისმა კოლექტივმა ზედიზედ ოთხჯერ დაიმსახურა სხვა კაჟმირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა და პირველი ფულადი პრემია. ქარხანამ ვადამდე, ამასთან ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლის მიხედვით შეასრულა ხუთწლედის დავალება.

კომუნისტების აქტივობისა და თვითმოქმედების ამაღლებას შეეხო თავის გამოსვლაში აბრეშუმის კომბინატის პარტიული კომიტეტის მდივანი რ. დოლონაძე.

როგორც მან თქვა, საამქროებისა და განყოფილებების პარტიულ ორგანიზაციებში მაღალი პოლიტიკური აქტივობის ვითარებაში განისიეკენ მოსკოველი მეფოლადის პ. აბამკინის წერილი „კომუნისტი. თავის ორგანიზაციაში“. ამ წერილის განხილვამ, აგრეთვე კომუნისტების თვითანგარიშების პრაქტიკამ, თვითეული კომუნისტისადმი მომთხოვნელობის გაძლიერებამ ამაღალა მათი პასუხისმგებლობა ხალხისადმი. ყველაფერმა ამან თავის მხრივ დიდი გავლენა მოახდინა კოლექტივის ფინანსურ მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტაზე.

კომბინატის კოლექტივმა 5 დეკემბრისათვის შეასრულა ხუთწლედი. წლის ბოლომდე ფეიერება კიდევ დამატებით მისცემენ სამშობლოს სამი მილიონი მანეთის პროდუქციას.

ელექტრომექანიკური ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ბ. ფხაკაძემ ილაპარაკა ქარხნის კოლექტივის შემოქმედებითს შრომაზე, ადამიანთა იდეურ-პოლიტიკურ აღზრდასა და კომუნისტური შეგნებულობის განვითარებაზე. პარტიულმა ორგანიზაციამ მტკიცედ მოკიდა ხელი ეკონომიური ცოდნის პროპაგანდას.

წარმოებისათვის ზრუნვით იყო გამსჭვალული საავტომობილო ქარხნის სექციონერ-გამმართველის, სოციალისტური შრომის გმირის ი. ხუსარაძის გამოსვლა.

წარმატებები არის, მაგრამ, როგორც ეს კონფერენციაზე ითქვა, კარგ საერთო მაჩვენებლებს მიღმა ჯერ კიდევ ბევრია სარგებელი, ჩრდილოვანი მხარე.

კრიტიკას ვერ გაეკენენ № 1 სამკერვალო გაერთიანება, ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი და საყოფაცხოვრებო ქიმიის ნაწარმის ქარხნების, სისდამშუშავებელი კომბინატის ხელმძღვანელები. მათ თავი ვერ გაართვეს საქმეს და მიმდინარე წლის ათი თვე ჩამორჩენით დაამთავრეს.

კონფერენციაზე მკაცრად გაკიცრიკეს რესპუბლიკის საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო, რომელიც დამშვიდებით შესცქერან ქუთაისის ქვის სამსხვრევ-დამხარისხებელი ქარხნისა და საშენ მასალათა კომბინატის ჩამორჩენას. ისიც ითქვა, რომ აღნიშნულმა კომბინატმა მშენებლებს დააკლო 5 მილიონ 879 ათასი ცალი აგური. აქ მივიწყებულია ახალი ტექნიკის დანერგვა, წარმოების კულტურა, არა ჩანს ზრუნვა მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის.

მრეწველობის მუშაობას საქმიანი ანალიზი რომ გაუკეთეს, კონფერენციის მონაწილეებმა სანართლიანად მიუთითეს, რომ პროდუქციის გამოშვების საერთო გეგმების შესრულებისას ზოგან ივიწყებენ, რომ საწარმოთა პროგრამა ყველა ტექნიკურ-ეკონომიური მაჩვენებლითა უნდა სრულდებოდეს. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ნომენკლატურისა და ასორტიმენტის მისედვით საანგარიშო პერიოდში ადგილი ვერ შეასრულა ქალაქის 27 საწარმომ.

საწარმოთა ერთი ნაწილი კვლავ ურიგდება წუნს, უშვებს დაბალი ხარისხის პროდუქციას. ამის გამო ათობით რეკლამაცია მიიღეს საავტომობილო და ელექტრომექანიკურმა ქარხნებმა, № 1 სამკერვალო გაერთიანებამ. ზოგან, როგორც, მაგალითად, წისქვილკომბინატში, ქვის სამსხვრევ-ქარხანაში და პურპროდუქტების სარეალიზაციო ბაზაში, პროდუქციის თვითღირებულების გაძვირებაც გადაუშვეს.

იმის გამო, რომ საჭირო ღონისძიებები არ ხორციელდება შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის, კადრების აღზრდისა და მათი სამუშაოზე დამაგრებისათვის, ერთობ დიდია მუშათა დენადობა. 2 წელიწადსა და 9 თვეში ქალაქის საწარმოებში სამუშაოზე მიღებულია 25.479 კაცი, ხოლო განთავისუფლებულია 24.474 კაცი. ამ მხრივ დამაფიქრებელი მდგომარეობაა საავტომობილო, ელექტრომექანიკურ ქარხნებში, ტყავფეხსაცმლის კომბინატში და ტრიკოტაჟის ფაბრიკაში.

კონფერენციამ ყურადღება მიაქცია რო ადამიანთა მატერიალური და სულიერი მოთხოვნილებების უფრო სრულად დაკმაყოფილების საკითხებს.

ქუთაისში ფართოდ გაჩაღდა მოძრაობა დეკეზით: „ბადავაქციოთ ჩვენი ქალაქი სანიმუო საზოგადოებრივ ყაზრიგისა და მაღალი კულტურის ქალაქად“. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მილიციის, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მჭიდრო ურთიერთმომქმედებისა და საზოგადოებრიობის მხარდაჭერით ქალაქში სულ უფრო მტკიცდება სოციალისტური მართლწესრიგი. ამასთან ისიც ითქვა, რომ კადრების არასწორად შერჩევისა და განაწილების შედეგად აღმოფხვრილი არ არის სახელმწიფო ქონების ხელყოფის სამარცხვინო ფაქტები. სახელმწიფო სახსრების დაფაცადას ქკონდა ადგილი, მაგალითად, სამრეწველო კომბინატის საყოფაცხოვრებო ქიმიის ქარხანაში, კოოპერაციის სისტემაში, ხორცკომბინატში, საშენ მასალათა კომბინატში, „ქუთაისმრეწვეაჩრობაში“.

სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში საქალაქო საბჭოს, მისი მუდმივი კომისიებისა და აღმასკომის განყოფილებათა საქმიანობაზე ილაპარაკა ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ უ. ცქვიტინინაძემ.

კონფერენციაზე დიდი ადგილი დეთმო იდეოლოგიური მუშაობის, კომუნიზმის მშენებელი ახალი ადამიანის აღზრდის, ახალგაზრდობის შრომისა და სწავლების, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ქალაქის შემოქმედებითი ორგანიზაციების მუშაობის საკითხებს. აღნიშნულ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები ჯ. ონელინინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქუთაისის ფაკულტეტის დეკანმა პროფესორმა ბ. ინჯიჭაშვილმა, კომკავშირის საქალაქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ზ. ბაბალაძემ, საქართველოს მწერალთა კავშირის ქუთაისის განყოფილების პასუხისმგებელმა მდივანმა ლ. ჯეიტარაძემ, ქალაქის პროკურორმა ა. ულენტმა, ლ. მესხიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორმა შ. პირველმა, სახალხო კონტროლის საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარემ ბ. ბილაძემ. გაზეთ „ქუთაისის“ რედაქტორმა ბ. მეფუნსაძემ. წამოაყენა წინადადება შეიქმნას ქალაქის ფაბრიკებისა და ქარხნების ისტორია, რომელშიც გადმოცემული იქნება ქუთაისის სახელოვანი მუშათა კლასის პატრიოტული საქმეები.

ქუთაისის საქალაქო პარტიული კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდა და ვრცელი სიტყვით გამოვიდა სკკ

ზაჰესი დონ ენგურჰესამდე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ელექტრიფიკაციის განვითარების გოელროს გეგმა ვადაზე ადრე შესრულდა. მას შემდეგ ქვეყნის ელექტრიფიკაციის საქმეში დიდი აღმავლობით სრულდება კოლოსალური მოცულობის სამუშაოები. დღეისათვის საბჭოთა კავშირის ელექტრომეურნეობა წარმოადგენს ევროპაში უმძლავრეს ენერგეტიკულ ბაზას, რომელიც აერთიანებს ოთხასამდე მძლავრ ელექტროსადგურს.

შენდება აგრეთვე მთელი რიგი ელექტროსადგურები, რომლებიც ყოველწლიურად შემატებენ ქვეყანას 12,5 მილიონზე მეტ კილოვატს, რის შემდეგაც საბჭოთა კავშირი უახლოეს დროში ელექტროენერგიის გამომუშავებით მეორე ადგილიდან პირველ ადგილზე გადაინაცვლებს მსოფლიოში.

1970 წელს საექსპლოატაციოდ გადაეცა 7-ჯერ მეტი სამძლავრის ელექტროსადგურები, ვიდრე გოელროს პირველ ათ წელიწადში.

საბჭოთა საქართველოშიც, ისე როგორც სხვა მოძმე რესპუბლიკებში, ბევრი რამ გაკეთდა ელექტრიფიკაციის ხაზით.

საქართველოს ელექტროსისტემის შესაქმნელად 50 წლის განმავლობაში შესრულდა 1 მილიარდი მანეთის ღირებულების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო (დღევანდელ ფასებში), დამუშავდა 100 მილიონი კუბური მეტრი მიწა და ქვდე, ჩაიწყო 5 მილიონი კუბური მეტრი ბეტონი, აიგო 25 დიდი კაშხალი, გაყვანილია 130 კილომეტრი არხი, 90 კილომეტრი გვირაბი, 5 ათასი კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები ქვეყნდგურებით, ათასი კილომეტრი გზატკეცილი, დამონტაჟდა 250 ათასი ტონა ლითონის კონსტრუქციები, ასამდე ჰიდრო და თბოავრეგატი, გაშენდა მრავალი მუშათა დასახლება და სხვ.

წლიდან წლამდე იზრდება საქართველოში ენერგომშენებლობის ძიმეცოლობა და ტემპი. 1946-1970 წლებში შესრულდა 7-ჯერ მეტი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაო, ვიდრე 1921-46 წლებში. უკანასკნელ ხუთწლედში კი ათვისებულია 250 მილიონი მანეთი, რაც 1.5-ჯერ აღემატება წინა ხუთწლედში შესრულებულ სამუშაოებს.

საქართველოში შეიქმნა მთელი რიგი საპროექტო-სამეცნიერო-საკვლევი, სამშენებლო-სამონტაჟო და საექსპლოატაციო ენერგეტიკული ორგანიზაციები: თბილჰიდროპროექტი (დირექტორი ი. მღებრიშვილი), საქენერგოპროექტი (დირექტორი ი. კემულარია), სოფლენერგეტიკას მთელი რიგი აქტუალური და რთული მეცნიერული საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოში ელექტროენერგეტიკული მშენებლობის ფუძემდებლები იყვნენ აწ განსვენებული ცნობილი ინჟინრები ბ. ჭიჭინაძე, ი. მელიქფაშაევი, ა. ჩიქოვანი, ვ. ჯიქია, ბ. მიქელაძე, გრ. ქორიძე, მ. ჯაჯანიძე, მ. გაბრიჩიძე, ვ. გოგუა და სხვები.

მომდევნო პერიოდში, 1934 წლიდან დღემდე, საქართველოში ელექტროენერგეტიკულ მშენებლობას აწარმოებდნენ ლენინის ორდენოსანი ტრესტი, „საქჰიდროენერგომშენი“, ტრესტები „საქსოფლელექტრომშენი“, „კავსახელექტრომშენი“ და 1969 წლიდან „საქენერგომშენიდან“ გამოყოფილი „ენგურჰესშენი“. „საქჰიდროენერგომშენში“ გაიარა მდიდარი პრაქტიკული სკოლა ბევრმა ცნობილმა ინჟინერმა, რომლებიც ამჟამადაც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან.

საქართველოში ურთულესი ჰიდროელექტროსადგურის ხრამჰეს პირველის დროულად აგებისათვის ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“ 1948 წელს დაჯილდოდა ლენინის ორდენით, 14 კაცს მიეკუთვნა სახელმწიფო პრემია, 450 კაცი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით.

ამჟამად რესპუბლიკაში წარმოებს საქართველოს ენერგეტიკის მარგალიტის — ენგურჰესის მშენებლობა და მიმდინარეობს უმძლავრესი თბოელექტროსადგურის „თბილსრესის“ გაფართოება. დაიწყება ყინვალჰესის მშენებლობა.

ენგურჰესის მშენებლობაზე, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი ნ. ესაკია ხელმძღვანელობს, ამჟამად მთავრდება კასკადის მეორე საფეხურის — ვარდნილჰესის ბირველი აგრეგატების სამონტაჟო სამუშაოები.

თბილისის სახელმწიფო თბოელექტროსადგურში (სამმართველოს უფროსი ზ. მაჭავარიანი) წარმატებით მიმდინარეობს მეშვიდე და მერვე ენერგობლოკების მშენებლობა. მეშვიდე ენერგობლოკი საექსპლოატაციოდ გადაიცემა 1971 წელს, მერვე — 1972 წელს.

ყინვალჰესის მშენებლობა მდინარე ირგაჩეზე კომპლექსურ ჰიდროკვანძს წარმოადგენს: ელექტროენერგიის გამომუშავების გარდა ის საჭირო რაოდენობით სასმელ წყალს მიაწვდის თბილისს, თბილისის ზღვას შემატებს მირბის სარწყავ წყალს და შექმნის ყინვალის წყალსაცავს, სადაც მოეწყობა თევზის მძლავრი მეურნეობა.

მომდევნო ხუთწლედებში აშენდება ავრეთვე ნამახვანჰესი, გარიცხის ჰესები, დარიალჰესი და სხვა მრავალი ელექტროსადგური.

როგორც ყოველთვის, ამჟამადაც საქართველოს ენერგომშენებლები სამპატიოდ შეასრულებენ მათს წინაშე დასახულ გეგმებს.

ვ. ნიჟარაძე,
ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

1. პარტიის მეორე პროგრამა

გოელროს გეგმით დაიწყო ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ძირითადი დასაყრდენის — ენერგეტიკის განვითარება. ახალი ამბავი არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ხუთ ათეულ წელიწადში „გოელროს“ მიერ დაწყებული საქმე გრანდიოზული მასშტაბებით იზრდა, მის ნიადაგზე აშენდა ჩვენი ქვეყნის მძლავრი ეკონომიკა — სახალხო მეურნეობა. 1920 წლის 22-23 დეკემბრს რუსეთის საბჭოების VIII ყრილობაზე განხილულ „გოელროს“ შემმას ლენინმა პარტიის მეორე პროგრამა უწოდა.

1930 წელს ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურების დადგმულმა სიმძლავრემ 2 მილიონ 875 ათას კილოვატს მიაღწია. „გოელროს“ გეგმა კი ამ დროისათვის მხოლოდ 1 მილიონ 750 ათას კილოვატს ითვალისწინებდა. განვითარების ასეთი ჩქარი ტემპი შენარჩუნებულ იქნა შემდგომ წლებშიც. 1940 წელს ჩვენი ქვეყნის ელექტროსადგურები უკვე იძლეოდნენ 48,3 მილიარდ-კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, რაც 1930 წლის ფონს ს 5,8-ჯერ აღემატებოდა. ამ დროისათვის მძლავრი ენერგეტიკული ბაზა არსებობდა საბჭოთა საქართველოშიც, სადაც, როგორც ცნობილია, გოელროს გეგმით ჯერ კიდევ 1927 წელს ამუშავდა პირველი საბჭოთა ხუთწლედების პირმშო, ჩვენს ქვეყანაში „გოელროს“ შემდეგ მეორე ჰიდროელექტროსადგური „ზაჰესი“. მაგრამ სანამ იგი აშენდებოდა, საქართველოს თბოელექტროსადგურების სიმძლავრე მხოლოდ 8 ათას კილოვატს შეადგენდა. ამიტომ „ზაჰესს“ ამუშავებით მაცოცხლებელი არტერია მიიღო საქართველოს სახალხო მეურნეობამ, თბილისს მოსახლეობამ.

შემდგომ წლებში თანმიმდევრულად ამუშავდა რიონჰესები, გაფართოდა ზაჰესი, აწჰესი, ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, თბილისის თბოელექტროცენტრალი და უკვე 1940 წელს ელექტროსადგურების დადგმული სიმძლავრე 1928 წელთან შედარებით 7-ჯერ, ხოლო გამომუშავება 18-ჯერ გაიზარდა. მაგრამ რესპუბლიკის სწრაფად მზარდი მრეწველობა კვლავ მოითხოვდა ენერგეტიკული ბაზის გაფართოებას. სამამულო ომმა რამდენადმე შეაფერხა საქართველოს ენერგეტიკის ზრდა, ომის შემდეგ გაშლილა ელექტროსადგურების, განსაკუთრებით ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობა, ამუშავდა ხრამჰესი I წყლის ნაკადის წლიური რეგულირებით, სუხუმჰესი, ჩითახევჰესი, სამგორის კასკადი, ორთაჭალჰესი, შაორჰესი, ტყიბულჰესი, გუმათის ჰესები, ბეჟუკაჰესი, ლაჯანურჰესი, ხრამჰესი II და აგრეთვე სხვა ბევრი მცირე სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურები, გაფართოდა ტყვარჩელის თბოელექტროსადგური, ამუშავდა რუსთავისა და ქუთაისის თბოელექტროცენტრალები და საქართველოში ყველაზე მძლავრი თბოელექტროსადგური „თბილსრესი.“ ამის შედეგად 1970 წელს ჩვენი რესპუბლიკის ელექტროსადგურების დადგმულმა სიმძლავრემ ორ მილიონ კილოვატს გადაჰკრა, რაც 250-ჯერ აღემატება 1913 წელს მოქმედი ელექტროსადგურების სიმძლავრეს. 1969 წელს გამომუშავე ელ იქნა 8 მილიარდ 314 მილიონი კილოვატ-საათი ელექტროენერგია, რაც 195-ჯერ აღემატება 1928 წელს გამომუშავებულ ენერგიას. 1970 წელს გამომუშავებული იქნება 8 მილიარდ 800 მილიონ კილოვატ-საათზე მეტი ელექტროენერგია.

1954 წელს გაერთიანებულ იქნენ საქართველოსა და აზერბაიჯანის ენერგოსისტემები 110 კილოვოლტიანი ძაბვის სისტემათაშორისი ელექტროგადამცემი ხაზით. იმის გამო, რომ სიმძლავრეთა გაკვეთა აღნაწნეულ ძაბვაზე რამდენადმე შეზღუდული იყო და ვერ აკმაყოფილებდა არსებულ მოთხოვნილებას, ეს ორივე ენერგოსისტემა 1958 წელს გაერთიანდა ავრეთვე 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზით. 1960 წელს კი აზერბაიჯანისა და საქართველოს ენერგოსისტემებს შეუერთდა სომხეთის ენერგოსისტემაც. გაერთიანებული ენერგოსისტემების ოპერატიული ხელმძღვანელობისათვის 1962 წელს შეიქმნა ამიერკავკასიის გაერთიანებული სადისპეტჩერო სამმართველო, რომლის ადგილსამყოფელი თბილისშია. 1970 წლის იანვრიდან 220 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზით ჩვენი ენერგოსისტემა ჩართულია საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილის გაერთიანებულ ენერგოსისტემაში.

საკავშირო საწარმოებისა და ადგილობრივი ძალებით დამუშავებულ მოწყობილობათა საფუძველზე საქართველოს ენერგოსისტემამ დიდი და საშუალო სიმძლავრის თითქმის ყველა ჰიდროელექტროსადგური აღჭურვილია ტექნოლოგიური ავტომატიკით. ოპერატიულ-დისპეტჩერული კონტროლის განხორციელებისათვის ენერგოსისტემის მეტი წილი ობიექტები — თბოელექტროსადგურები, ჰიდროელექტროსადგურები და ქვესადგურები ტელემექანიზებული არიან. ამ ობიექტების ძირითადი ენერგეტიკული მაჩვენებლების სიგნალები გადაეცემა ცენტრალურ სადისპეტჩეროო პუნქტს.

ელექტრენერგიის გამომუშავების ზრდამ მოითხოვა ელექტროქსელის გაფართოება, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზების მშენებლობა. ამჟამად იმისათვის, რომ ენერგიასის და თბილსრესის სიმძლავრე გადავცეთ, შენდება 500—კილოვოლტიანი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზი. ნაწილი ამ ხაზისა ზეკატაფონიდან თბილსრესამდე მზად არის.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის 1970 წლის ივლისის პლენუმის გადაწყვეტილებანი გვავალებს დავაჩქაროთ სოფლის მთლიანი ელექტრიფიკაცია, რათა დაჩქარდეს სოფლის მეურნეობის საწარმოო პროცესების კომპლექსური მექანიზაცია, გაუმჯობესდეს სოფლის მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქალაქსა და სოფელს შორის არსებული სოციალურ-ეკონომიური და კულტურულ-საყოფაცხოვრებო განსხვავების შემცირების საქმეში.

ამჟამად გაშლილია საქართველოს ენერგეტიკის ფლაგმანის—ენგურჰესის მშენებლობა, რომელიც საშუალებას მოგვცემს დავფაროთ არა მარტო საქართველოს ენერგოსისტემის დღიღამური ტვირთიკის პიკები, არამედ მეზობელ ენერგოსისტემებსაც დავეხმაროთ.

საქართველოს ენერგეტიკოსები ნაყოფიერად მოღვაწეობენ სამეცნიერო-საკვლევ და საპროექტო ინსტიტუტებში, მშენებლობებზე, უნარიანად მართავენ ელექტროსადგურებს. ჩვენი ძალებით დაპროექტდა ელექტროსადგურები, ელექტროგადამცემი ხაზები. გამოიკვლიეს ენერგორესურსები, დასახეს მათი გამოყენების გეგმები, შექმნეს და დანერგეს ახალი ტექნიკა. აშენეს ჰიდრო და თბოელექტროსადგურები, ააგეს საბჭოთა კავშირში პირველი ლაჯანურჰესის თაღოვანი კაშხალი, აშენებენ მსოფლიოში ყველაზე მაღალ თაღოვან კაშხალს მდინარე ენგურზე, ეხმარებიან მოძმე სოციალისტურ და ჯანვითარებადი ქვეყნების ხალხებს ენერგეტიკის საკვლევ სამუშაოებში, დაპროექტებაში, მშენებლობასა და ექსპლოატაციაში. თუ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დასაწყისში საეციალისტები თითებზე ჩამოსათვლელი გვყავდა, ამჟამად ჩვენს რესპუბლიკას ჰყავს სპეციალისტების მრავალრიცხოვანი არმია, რომლებსაც დიდი გამოცდილება აქვთ.

საქართველოს ენერგეტიკოსთა კოლექტივებმა ღირსეულად შეასრულეს ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავთან დაკავშირებით ნაკისრი ვალდებულებანი და ახლა წარმატებით შრომობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის, საბჭოთა საქართველოსა და საქართველოს კომუნისტური პარტიის 50 წლისთავის იუბილესთვის ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად.

ჯ. ჩხეიძე.
„საქმოთაგარენერგოს“ უფროსი.

2. გოელროს ტრიუმფი

ელექტროპროექტი (დირექტორი ი. ნადირაძე), თბილისის აკადემიკოს ვინტერის სახელობის ნაგებობათა და ჰიდროენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (დირექტორი თ. გეგელია), სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს საქართველოს დიდებულიძის სახელობის ენერგეტიკის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი, საკავშირო საპროექტო ინსტიტუტის ორგენერგომშენის თბილისის ფილიალი (დირექტორი შ. ახვლედიანი); ჰიდროენერგეტიკის განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს (დირექტორი ი. ბუაჩიძე). ტექნიკური კადრების აღზრდის გარდა ინსტიტუტი დიდ დახმარებას უწევს რესპუბლიკის ჰიდროენერგეტიკას მთელი რიგი აქტუალური და რთული მეცნიერული საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოში ელექტროენერგეტიკული მშენებლობის ფუძემდებლები იყვნენ აწ განსვენებული ცნობილი ინჟინრები ბ. ჭიჭინაძე, ი. მელიქფაშაევი, ა. ჩიქოვანი, ვ. ჯიქია, ბ. მიქელაძე, გრ. ქორიძე, მ. ჯაჯანიძე, მ. გაბრიჩიძე, ვ. გოგუა და სხვები.

მომდევნო პერიოდში, 1934 წლიდან დღემდე, საქართველოში ელექტროენერგეტიკულ მშენებლობას აწარმოებდნენ ლენინის ორდენოსანი ტრესტი, „საქჰიდროენერგომშენი“, ტრესტები „საქსოფლელექტრომშენი“, „კავსახელექტრომშენი“ და 1969 წლიდან „საქენერგომშენიდან“ გამოყოფილი „ენგურჰესშენი“. „საქჰიდროენერგომშენში“ გაიარა მდიდარი პრაქტიკული სკოლა ბევრმა ცნობილმა ინჟინერმა, რომლებიც ამჟამადაც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან.

საქართველოში ურთულესი ჰიდროელექტროსადგურის ხრამჰეს პირველის დროულად აგებისათვის ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“ 1948 წელს დაჯილდოდა ლენინის ორდენით, 14 კაცს მიეკუთვნა სახელმწიფო პრემია, 450 კაცი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით.

ამჟამად რესპუბლიკაში წარმოებს საქართველოს ენერგეტიკის მარგალიტის — ენგურჰესის მშენებლობა და მიმდინარეობს უმძლავრესი თბოელექტროსადგურის „თბილსრესის“ გაფართოება. დაიწყება ყინვალჰესის მშენებლობა.

ენგურჰესის მშენებლობაზე, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი ნ. ესაკია ხელმძღვანელობს, ამჟამად მთავრდება კასკადის მეორე საფეხურის — ვარდნილჰესის ბირველი აგრეგატების სამონტაჟო სამუშაოები.

თბილისის სახელმწიფო თბოელექტროსადგურში (სამმართველოს უფროსი ზ. მაჭავარიანი) წარმატებით მიმდინარეობს მეშვიდე და მერვე ენერგობლოკების მშენებლობა. მეშვიდე ენერგობლოკი საექსპლოატაციოდ გადაიცემა 1971 წელს, მერვე — 1972 წელს.

ყინვალჰესის მშენებლობა მდინარე ირგაჩეზე კომპლექსურ ჰიდროკვანძს წარმოადგენს: ელექტროენერგიის გამომუშავების გარდა ის საჭირო რაოდენობით სასმელ წყალს მიაწვდის თბილისს, თბილისის ზღვას შემატებს მირბის სარწყავ წყალს და შექმნის ყინვალის წყალსაცავს, სადაც მოეწყობა თევზის მძლავრი მეურნეობა.

მომდევნო ხუთწლედებში აშენდება ავრეთვე ნამახვანჰესი, გარიცხის ჰესები, დარიალჰესი და სხვა მრავალი ელექტროსადგური.

როგორც ყოველთვის, ამჟამადაც საქართველოს ენერგომშენებლები სამპატიოდ შეასრულებენ მათს წინაშე დასახულ გეგმებს.

ვ. ნიჟარაძე,
ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ამხ. ე. გერეკის გამოსვლა რადიოთი და ჭელევიზიით

ბარშავა, 21 დეკემბერი (საკვლესი). გუშინ საღამოს პოლონეთის რადიოთი და ტელევიზიით გამოვიდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გერეკი. როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება ე. გერეკმა თქვა:

დღეს პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მომანდო პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტი. მე მოგმართავთ პარტიის სახელით.

უკანასკნელ კვირაში მოხდა მოვლენები, რომლებმაც დიდად შეაშფოთა მთელი ხალხი და სამშობლო დააყენა დიდი საფრთხის წინაშე. სანაპიროს ქალაქები — გდანსკი, გდინია, შჩეცინი და ელბლონგი — მუშების, ექსცესების გამოსვლებისა და ქუჩის შეტაკებების ადგილად გადაიქცნენ. დაიღუპა ხალხი. ჩვენ ყველანი განვიცდით ამ ტრაგედიას.

რა თქმა უნდა ისმება კითხვები: როგორ მივიდა საქმე ამ უბედურებამდე და რატომ მომწიფდა ესოდენ მწვავე საზოგადოებრივი კონფლიქტები? ნუთუ არის ისეთი პრობლემები — ეს ხომ ჩვენი საშინაო, საკუთარი პრობლემებია, რომლებსაც ვერ გადავწყვეტდით სხვა ეზით?

ჩვენი მოვალეობაა, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობის მოვალეობაა სრული პასუხი გავცეთ პარტიისა და ხალხის ამ კითხვებზე. ეს ძნელი და თვითკრიტიკული პასუხი იქნება. მაგრამ ეს იქნება მკაფიო და მართებული პასუხი. ჩვენი ქვეყნის ახლანდელ სიტუაციას საფუძვლად უდევს მიზეზები, რომლებიც გამომდინარეობენ ნამდვილი სიძნელეებიდან. ჩვენ უფლება გვაქვს ვიმედოვნებდეთ, რომ მუშათა კლასი, მთელი ხალხი გაიგებენ ამ სიძნელეებს. მაგრამ არის ისეთი სიძნელეებიც, რომლებიც გამომდინარეობენ უკონომიური პოლიტიკის გაუაზრებელი კონცეფციებიდანაც. ამ სიძნელეებს ჩვენ აღმოვაფხვრით. ჩვენი ეკონომიური პოლიტიკისა და ჩვენი ზოგადი პოლიტიკის რკინის კანონი მუდამ უნდა იყოს სინამდვილის გათვალისწინება, ფართო კონსულტაცია მუშათა კლასთან და ინტელიგენციასთან, კოლეგიალობისა და დემოკრატიის პრინციპების დაცვა პარტიის ცხოვრებასა და მისი ხელმძღვანელი ორგანოების მოქმედებაში.

უკანასკნელმა ამბებმა მტკივნეულად გვაფხიზლა ის ძირითადი ჭეშმარიტება, რომ პარტიას მუდამ უნდა აჰქონდეს ნებიერი კავშირი მუშათა კლასთან და მთელ ხალხთან, რომ მან არ უნდა დაკარგოს საერთო ენა მშრომელებთან.

ჩვენმა ხალხმა, რომელსაც ესოდენ ტრაგიკული გამოცდილება აქვს, მუშათა კლასმა და მისმა პარტიამ, რომლებმაც გამოიყვანეს ქვეყანა ულრეში ისტორიული უფსკრულიდან, უნდა მოიკრიბონ საკმაო ძალა, კეთილგონიერება და პასუხისმგებლობა. რათა შეწყლეს ქაოსი, ტიელი ბათ წინაშე მდგომი მომწიფებული პრობლემები გადაჭრან მშვიდად, ჭკვიანურ ინტერესების შესაბამისად.

მშრომელებისა და პოლონეთის სახელმწიფოსათვის სწორედ ამ უაღრესად დიდმნიშვნელოვან პრობლემებზე ვილაპარაკეთ სერიოზული პასუხისმგებლობის გრძნობით ცენტრალური კომიტეტის დღევანდელ სხდომაზე და მივიღეთ საჭირო გადაწყვეტილებანი. სწორედ ეს უნდა გაცნობოთ, ძვირფასი თანამემამულენო.

ამას წინათ მიღებულმა გადაწყვეტილებამ ფასების შეცვლის შესახებ გადიდა მოსახლეობის ხარჯები ხუთასათვის შემენიანთვის.

ცენტრალურმა კომიტეტმა დაავალა პოლიტბიუროს უახლოეს დღეებშივე განეხილა ყველაზე მეცირე ხელფასიან და წვრილშვილიან ოჯახთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობანი, რომელთა ბაუჯეტი ფასების ამასწინანდელი შეცვლის შედეგად განსაკუთრებით ძლიერ დაზარალდა. ამისათვის უნდა გამოვძებნოთ საჭირო სახსრები.

არის ბევრი სხვა საკითხიც, რომლებიც აწუხებს მშრომელებს და მოითხოვს გადაჭრას, მათ შორის მომუშავე ქალთა მდგომარეობა, საბინაო პრობლემა, ახალგაზრდობის საკითხები. მინდა აღვნიშვნავთ, რომ ამ პრობლემებს უდიდესი მზრუნველობით განიხილავს პარტიისა და თავრობის ხელმძღვანელობა და გადაწყვეტს შესაძლებლობათა შესაბამისად, და მხოლოდ ეკონომიურ შესაძლებლობათა შესაბამისად, როგორიც კი გვექნება, ეს კი დამოკიდებულია უალებლივ ყველა ჩვენგანის კარგ მუშაობაზე.

ჩვენ მოგვიხდება ახლად და გულდასმით განვიხილოთ მომავალი წლის და მთელი ახალი ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის პრობლემები. ჩვენ უნდა შეეუდგეთ მუშაობას ისეთი გეგმების მომზადებისათვის, ისეთი ცვლილებებისა და რეფორმების განხორციელებისათვის, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშობლოს დინამიკურ და ამასთანავე ჰარმონიულ განვითარებას. ამაზე მუშაობის დროს რჩევას ვკითხავთ მუშათა კლასს, ყველა მშრომელს. ამისათვის საჭიროა შეიქმედებითი დისკუსია და ამასთანავე უდიდესი პასუხისმგებლობის გრძნობა. ჩვენ მოვუწოდებთ მუშებს, ინტელიგენციას, ნენგნეერების ადამიანებს, საზოგადოებრიობის ყველა წრეს მონაწილეობა მიიღონ ამ დიდმნიშვნელოვანი ამოცანების გადაჭრაში. ამ ურთიერთმოქმედებისათვის ჩვენ შევქმნით პოლიტიკურ და ორგანიზაციულ პირობებს, ამასთან ცხოვრების ყველა სფეროში დავიცავთ სოციალისტური დემოკრატიის ნორმებს.

ჩვენ გვწამს, რომ ჩვენს დღევანდელ გადაწყვეტილებებს მოიწონებენ და მხარს დაუჭერენ მთელი ხალხი, ქალაქებისა და სოფლების მცხოვრებლები. ჩვენ შევასრულებთ მათ მოკავშირე პარტიებთან — ლეგეთა გაერთიანებულ პარტიასთან და დემოკრატიულ პარტიასთან ერთად, ბლოკის ერთიანობის ფრონტის ყველა ორგანიზაციასთან ერთად. პრობლემები, რომლებსაც ჩვენ დღეს ვაკეთებთ, შეეხება მთელ ჩვენს ხალხს — პარტიულსა და უპარტიოს, მორწმუნესა და არამორწმუნეს, და ამიტომ ყოველი მოქალაქისათვის მოიძებნება ადგილი ამ სამუშაო, ვიდრე 1921-46 წლებში. უკანასკნელ ხუთწლედში კი ათვისებულია 250 მილიონი მანეთი, რაც 1.5-ჯერ აღემატება წინა ხუთწლედში შესრულებულ სამუშაოებს.

საქართველოში შეიქმნა მთელი რიგი საპროექტო-სამეცნიერო-საკვლევი, სამშენებლო-სამონტაჟო და საექსპლოატაციო ენერგეტიკული ორგანიზაციები: თბილჰიდროპროექტი (დირექტორი ი. მღებრიშვილი), საქენერგოპროექტი (დირექტორი ი. კემულარია), სოფლენერგეტიკას მთელი რიგი აქტუალური და რთული მეცნიერული საკითხების გადაწყვეტაში.

საქართველოში ელექტროენერგეტიკული მშენებლობის ფუძემდებლები იყვნენ აწ განსვენებული ცნობილი ინჟინრები ბ. ჭიჭინაძე, ი. მელიქფაშაევი, ა. ჩიქოვანი, ვ. ჯიქია, ბ. მიქელაძე, გრ. ქორიძე, მ. ჯაჯანიძე, მ. გაბრიჩიძე, ვ. გოგუა და სხვები.

მომდევნო პერიოდში, 1934 წლიდან დღემდე, საქართველოში ელექტროენერგეტიკულ მშენებლობას აწარმოებდნენ ლენინის ორდენოსანი ტრესტი, „საქჰიდროენერგომშენი“, ტრესტები „საქსოფლელექტრომშენი“, „კავსახელექტრომშენი“ და 1969 წლიდან „საქენერგომშენიდან“ გამოყოფილი „ენგურჰესშენი“. „საქჰიდროენერგომშენში“ გაიარა მდიდარი პრაქტიკული სკოლა ბევრმა ცნობილმა ინჟინერმა, რომლებიც ამჟამადაც ნაყოფიერ მოღვაწეობას ეწევიან.

საქართველოში ურთულესი ჰიდროელექტროსადგურის ხრამჰეს პირველის დროულად აგებისათვის ტრესტი „საქჰიდროენერგომშენი“ 1948 წელს დაჯილდოდა ლენინის ორდენით, 14 კაცს მიეკუთვნა სახელმწიფო პრემია, 450 კაცი დაჯილდოდა ორდენებითა და მედლებით.

ამჟამად რესპუბლიკაში წარმოებს საქართველოს ენერგეტიკის მარგალიტის — ენგურჰესის მშენებლობა და მიმდინარეობს უმძლავრესი თბოელექტროსადგურის „თბილსრესის“ გაფართოება. დაიწყება ყინვალჰესის მშენებლობა.

ენგურჰესის მშენებლობაზე, რომელსაც სოციალისტური შრომის გმირი, სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი ნ. ესაკია ხელმძღვანელობს, ამჟამად მთავრდება კასკადის მეორე საფეხურის — ვარდნილჰესის ბირველი აგრეგატების სამონტაჟო სამუშაოები.

თბილისის სახელმწიფო თბოელექტროსადგურში (სამმართველოს უფროსი ზ. მაჭავარიანი) წარმატებით მიმდინარეობს მეშვიდე და მერვე ენერგობლოკების მშენებლობა. მეშვიდე ენერგობლოკი საექსპლოატაციოდ გადაიცემა 1971 წელს, მერვე — 1972 წელს.

ყინვალჰესის მშენებლობა მდინარე ირგაჩეზე კომპლექსურ ჰიდროკვანძს წარმოადგენს: ელექტროენერგიის გამომუშავების გარდა ის საჭირო რაოდენობით სასმელ წყალს მიაწვდის თბილისს, თბილისის ზღვას შემატებს მირბის სარწყავ წყალს და შექმნის ყინვალის წყალსაცავს, სადაც მოეწყობა თევზის მძლავრი მეურნეობა.

მომდევნო ხუთწლედებში აშენდება ავრეთვე ნამახვანჰესი, გარიცხის ჰესები, დარიალჰესი და სხვა მრავალი ელექტროსადგური.

როგორც ყოველთვის, ამჟამადაც საქართველოს ენერგომშენებლები სამპატიოდ შეასრულებენ მათს წინაშე დასახულ გეგმებს.

ვ. ნიჟარაძე,
ტრესტ „საქჰიდროენერგომშენის“ მმართველი, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი.

ენგურჰესი — ენერგეტიკის გიგანტი

● **ენგურჰესის** მშენებლობაზე საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო მონაცემებით უნდა დაიბარჯოს 728 მილიონი მანეთი. უნდა შესრულდეს 53 მილიონი კუბური მეტრი მიწისა და ქვდის, 5.920 ათასი კუბური მეტრი ბეტონის სამუშაოები.

● **ენგურჰესის** სიმძლავრე 45-ჯერ გადაამეტებს საქართველოს პირველი ჰიდროელექტროსადგურის — ზაჰესის სიმძლავრეს, ხოლო ხუთჯერ მეტი იქნება, ვიდრე ხრამჰესი—I, ხრამჰესი-II და ლაჯანურჰესი ერთად აღებული.

● ენგურჰესის საერთო დადგმული სიმძლავრე 1.640 ათასი კილოვატი იქნება და წელიწადში გამოიმუშავებს 5.460 მილიონ კილოვატ-საათ ელექტროენერგიას.

● **თაღოვანი** კაშხალის სიმაღლე 271,5 მეტრია, სადაც უნდა ჩაიხსას 4 მილიონამდე კუბური მეტრი ბეტონი. ამისათვის უნდა აშენდეს უწყვეტი მოქმედების ბეტონის ქარხანა, რომლის წარმადობა საათში 300 კუბური მეტრი ბეტონი იქნება.

● **ბაყვანილი** იქნება საღერივაციო და გადასაგდები გვირაბები, რომელთა საერთო სიგრძე 18 კილომეტრია.

● **კაშხალის** აგების შემდეგ შეიქმნება ზღვა, სადაც 1 მილიარდ 100 მილიონი კუბური მეტრი წყალი დაგუბდება.

● **ენგურჰესის** მშენებლობისათვის გაყვანილია 300 კილომეტრი სამანქანო გზა და 30 კილომეტრი რკინიგზა.

პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

ვარშავა, 21 დეკემბერი. (საკვლესი). პოლონეთის დეპეშათა სააგენტომ გადმოსცა ასეთი ცნობა:

„1970 წლის 20 დეკემბერს გაიმართა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეშვიდე პლენუმი.

პლენუმმა გააანალიზა პოლონეთში შექმნილი სიტუაცია და მიიღო საჭირო გადაწყვეტილებანი.

პლენუმი დათანხმდა ვლადისლავ გომულკას გადადგომას ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და პოლიტბიუროს წევრის პოსტიდან მძიმე ავადმყოფობის გამო. პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის პოსტზე პლენუმმა აირჩია ედვარდ გიერეკი.

პლენუმმა ვლადისლავ გომულკას მადლი გამოუცხადა ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნისა და პოლიტბიუროს წევრის ადგილზე ნაყოფიერი მუშაობისა და ერთგულებისა და ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულებისა ერთგულების

22 დეკემბერი — გოელროს 50 წლისთავი, ენერგეტიკის დღე



ვ. ი. ლენინის სახელობის ზაკავკასიის კაშხალის ხედი.

ფოტო ვლ. ბინზბურგისა და გ. გოგოხიასი.

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ხსოვნისადმი

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, აკადემიკოს სიმონ ნიკოლოზისძე ჯანაშიას სახელს კარგად იცნობს ქვეყნის მეცნიერული საზოგადოება. განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვეს მეცნიერის ნაშრომებმა ისტორიის, აგრეთვე არქეოლოგიისა და ენათმეცნიერების დარგში.

დიდი მეცნიერული მნიშვნელობა აქვს ს. ნ. ჯანაშიას შრომებს ანტიკური და ადრე ფეოდალური საქართველოს ისტორიის დარგში. მან მოგვცა საქართველოს ისტორიის პირველი მარქსისტული პერიოდიზაცია, გვიჩვენა, რომ საქართველოს კლასობრივი საზოგადოება და სახელმწიფო წარმოიშვა ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-6-4 საუკუნეებში. აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველმა დაასაბუთა, რომ ადრეფეოდალური ურთიერთობა საქართველოში წარმოიშვა ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე მე-4 საუკუნეში, ხოლო მე-6 საუკუნე — ეს არის ფეოდალიზმის გამარჯვების პერიოდი.

ფართოდ არის ცნობილი მეცნიერის შრომები „საქართველო ადრეული ფეოდალიზაციის გზაზე", „ფეოდალური რევოლუცია საქართველოში", „ბრაბობა საქართველოში" და სხვ.

აკადემიკოსმა ს. ჯანაშიამ აკადემიკოსებთან ი. ჯავახიშვილთან და ნ. ბერძენიშვილთან თანაავტორობით დაწერა პირველი მარქსისტული სახელმძღვანელო „საქართველოს ისტორია", რომელსაც სახელმწიფო პრემია მიენიჭა.

თავის მეცნიერულ შემოქმედებაში აკადემიკოსი ს. ჯანაშია დიდ ყურადღებას უთმობდა აფხაზთა და ქართველთა ურთიერთობის საკითხებს. მან ცალკე წიგნი მიუძღვნა მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის აფხაზ მწერალს გიორგი შერვაშიძეს.

აკადემიკოსი ს. ჯანაშია იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი ფუძემდებელი და პირველი ვიცე-პრეზიდენტი. იგი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ორი ლენინის ორდენის, შრომის წითელი დროშის ორდენისა და მთავრობის სხვა ჯილდოების კავალერი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთარ დარბაზში გაიმართა აკადემიკოს ს. ჯანაშიას დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა, რომელიც მოიწვიეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის სამეცნიერო საზოგადოების ინიციატივით.

სხდომა შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის უნივერსიტეტის რექტორმა, სოციალისტური შრომის გმირმა, ლენინური პრემიის ლაურეატმა, აკადემიკოსმა ი. ვეკუამ.

მოხსენება „აკადემიკოს ს. ჯანაშიას ცხოვრება და მოღვაწეობა" გააკეთა თბილისის უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის დეკანმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა შ. მესხიამ.

თავიანთი მოგონებანი დამსწრეთ გაუზიარეს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა ა. შანიძემ, გ. ახვლედიანმა, ა. ჩიქობავამ, ს. ყაუხჩიშვილმა, შ. ამირანაშვილმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა ქ. ლომთათიძემ, თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგემ, პროფესორმა ა. გაწერელიამ, ი. ბ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა, დოცენტმა გ. ლომთათიძემ. (საქლესი).

ძმური ურთიერთობის გზით

სსრ კავშირისა და არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის ხალხთა მეგობრობისა და თანამშრომლობის განვითარებისათვის

არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტის მიწვევით 10-20 დეკემბერს არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ბ. ნ. პონომარიოვის მეთაურობით.

არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში სკკპ დელეგაციის ყოფნის გამო გამოქვეყნებულ კომუნიკეში, რომელსაც კაიროში მოაწერეს ხელი, ნათქვამია, რომ სკკპ წარმომადგენლებს შეხვედრები და საუბრები ჰქონდათ არაბთა სოციალისტური კავშირის დელეგაციასთან, რომელსაც მეთაურობდა არაბთა სოციალისტური კავშირის უმაღლესი აღმასრულებელი კომიტეტის წევრი, არაბთა სოციალისტური კავშირის გენერალური მდივანი აბდელ მოჰსენ აბუ ან-ნური.

სკკპ დელეგაციის მეთაური მიიღო არაბთა სოციალისტური კავშირის თავმჯდომარემ, არაბთა გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანვარ სადათმა. ბ. ნ. პონომარიოვმა ანვარ სადათს გადასცა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის მეგობრული წერილი.

თავისუფლება ანჯელა დევისს!

ლონდონი. ინგლისის კომუნისტები სოლიდარობას უცხადებენ ანჯელა დევისს — თავისუფლებისათვის მამაც მებრძოლს. ეს ნათქვამია დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჯონ გოლანის წერილში ამერიკელი კომუნისტი ქალისადმი. დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტია, აღნიშნულია წერილში, მტკიცი პროტესტს აცხადებს ანჯელა დევისის დაპატიმრების წინააღმდეგ და მოითხოვს მის დაუყოვნებლივ განთავისუფლებას.

რომი. იტალიაში მიმდინარეობს ამერიკელი პატრიოტის ანჯელა დევისის დასაცავად მოწოდების ხელმოწერათა შეგროვება, რომლის ინიციატორია ქვეყნის კულტურის მოღვაწეთა დიდი ჯგუფი. ანჯელა დევისის ხსნისათვის მოწოდებას ხელს აწერენ კომუნისტები, სოციალისტები, რესპუბლიკელები, სხვა პარტიებისა და დემოკრატიული ორგანიზაციების წევრები.

ბონი. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობა მოითხოვს ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის განთავისუფლებას. ქალაქ ობერჰაუზენის მაღაროელებმა ფედერალურ პრეზიდენტს გ. ჰაინემანს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც მოუწოდებენ პრეზიდენტს ხელი შეუწყოს ა. დევისის განთავისუფლებას. „ხელები შორს ანჯელა დევისისაგან!" — მოითხოვენ ერლანგენის უმაღლეს სასწავლებლთა სტუდენტები ერთობლივ განცხადებაში.

ლონდონი. ბერძენ პატრიოტთა — ათენის სამხედრო ხუნტის მოწინააღმდეგეთა ორგანიზაციამ, პატრიოტულმა ანტიდიქტატორულმა ფრონტმა განაცხადა პროტესტი ამერიკელი კომუნისტის ანჯელა დევისის დევნის წინააღმდეგ. წერილში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ ნიქსონს გაეგზავნა, მოითხოვენ დაუყოვნებლივ გათავისუფლონ ანჯელა დევისი, „ამერიკის მთელი პროგრესული ძალების ამაყი წარმომადგენელი". (საკლესი).

□

ორჯოფული გაძლიერებულია

ვაშინგტონი, 21 დეკემბერი. (საკლესი). 13 თვე გავიდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა რ. ნიქსონმა ამერიკისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ზეგავლენით გამოაცხადა თავისი განზრახვა ლიკვიდაცია უყოს ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულ ბაქტერიოლოგიური იარაღის მარაგს და პენტაგონმა მხოლოდ ახლა გამოაქვეყნა ცნობა, რომ განზრახული აქვს შეუდგეს ამ დაპირებათა განხორციელებას.

სამხედრო უწყების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პენტაგონმა შეიმუშავა ბაქტერიოლოგიური ომის წარმოების იმ საშუალებათა მოსპობის გეგმები, რომლებიც ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო ბაზების არსენალებში ინახება, მისი თქმით, ამ „გეგმების" განხორციელებას დაახლოებით ერთი წელიწადი დასჭირდება.

ეკვადორს აკბეღითი ღრუბელი გაძლეფარა

ნიუ-იორკი; 21 დეკემბერი. (საკლესი). ნეიპალის შტატის საცდელ პოლიგონზე 18 დეკემბერს განხორციელებული მიწისქვეშა ატომური აფეთქების — სამი დღის მანძილზე მეოთხე აფეთქების — შედეგად გამოიყო რადიაქტიური ნალექები.

როგორც ატომური ენერგიის კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, პოლიგონის სამასამდე თანამშრომლის ტანსაცმელზე აღმოაჩინეს რადიაქტიური მტვერი. ექვსასამდე კაცი დაუყოვნებლივ გაიყვანეს პოლიგონის რაიონიდან. კომისიის წარმომადგენელი ამტკიცებდა, რადიაციის დონე „დასაშვებ დონეს არ აღემატება" და სანიში არ არის საცდელი პოლიგონის ფარგლებს გარეთ მყოფ ადამიანთა ჯანმრთელობისათვის.

მაგრამ სამეფოსრმაციო სააგენტოები შეშფოთებით იტყობინებიან ნევადის შტატიდან, რომ რადიაქტიური მტვრის ღრუბელი რამდენიმე ათასი ფუტის სიმაღლეზე ავიდა ცაში და ჩრდილოეთისაკენ დაიძრა უზარმაზარი პოლიგონის ფარგლებს გარეთ.

ე. ჰიტის გამოსვლა

ვაშინგტონი. 21 დეკემბერი. (საკლესი). ინტერვიუში, რომელიც ამერიკის ტელევიზიამ გადასცა, ინგლისის პრემიერ-მინისტრი ე. ჰიტი ამართლებდა ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ პოლიტიკას სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში და განაცხადა, რომ „სავსებით ეთანხმება" მას.

ინგლისის პრემიერმა მხარი დაუჭირა პრეზიდენტ რ. ნიქსონის მუქარას ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის „რეგულარული დაბომბვის განახლების შესახებ და განაცხადა, რომ წინააღმდეგია აშშ-ის ჯარების დაუყოვნებლივ და მთლიანად გაყვანისა სამხრეთ ვიეტნამიდან. ეს, ამტკიცებდა იგი, „შეარყევდა რწმენას ამერიკის ვალდებულებებისადმი საერთაშორისო საქმეებში".

ამასთანავე ჰიტი იძულებული იყო ეღიარებინა, რომ როგორც თვით შეერთებულ შტატებში, ისე დასავლეთ ევროპის ბევრ ქვეყანაში სულ უფრო მკაცრად გმობენ ვაშინგტონის ახლანდელ პოლიტიკას ინდოჩინეთში.

ფაქტები

● **პრაღაში გაიხსნა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის ფედერალური კრების სახალხო პალატისა და ეროვნებათა პალატის გაერთიანებული სხდომა.** სხდომის მუშაობაში მონაწილეობენ ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. ჰუსაკი, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე ლ. შტროუგალი.

● **იორდანიის გაზეთი „ად-დიფაა" იუწყება, რომ ამ ბოლო დროს ისრაელის საოჯუბაციო ხელისუფლებამ არაბთა მასობრივი დაპატიმრებანი მოახდინეს ქალაქ ქებრონში (მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირი). დაპატიმრებულებს აბრალებენ, რომ დახმარებას უწევდნენ პალესტინელ პარტიზანებს. ისრაელი აგრესორები, წერს გაზეთი, განაგრძობენ მდინარე იორდანის დასავლეთი ნაპირიდან არაბი მოსახლეობის ძალით გადასახლებას აღმოსავლეთ ნაპირზე.**

● **საფრანგეთის პარლამენტმა არდადეგების წინ უკანასკნელ გადწყვეტილებებს შორის მიიღო კანონი, რომლითაც მუნიციპალურ თუ გენერალურ საბჭოებში არჩევის უფლება მოქალაქეებს ეძლევათ 21 წლიდან. დღემდე ამ დაწესებულებათა წევრებს 23 წლიდან ირჩევდნენ.**

● **ვაშინგტონში ოფიციალურ ვიზიტად არის ინგლისის პრემიერ-მინისტრი ე. ჰიტი, რომელმაც დაამთავრა თავისი ორი დღის მოლაპარაკება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტ რ. ნიქსონთან.**

● **ნეონაციისტური ორგანიზაციის „ზინაალდეგოგის აპციის" მორიგი თავყრილობა მოეწყო აუგსბურგში. ნეოფაშისტებმა ქვები დაუშინეს დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა გაერთიანების ადგილობრივი ორგანიზაციის შენობას. ქალაქში გააკრეს აგრეთვე ნეონაციისტური პლაკატები, რომლებიც შეიცავდნენ მოწოდებას ტერორისათვის.**

● **ტოკიოს სინძიუკუს რაიონში მალე დაიწყება 80-სართულიანი ცათამბჯენის მშენებლობა. მისი სიმაღლე 250 მეტრი იქნება. ეს იქნება ყველაზე მაღალი შენობა იაპონიაში. იაპონიის კუნძულებზე, სადაც ხშირია მიწისძვრა, ბოლო დრომდე მაღლივ შენობებს არ აგებდნენ, მაგრამ სამშენებლო ტექნიკის მიღწევები მშენებლებს საშუალებას აძლევენ ააგონ გადიდებული სართულიანობის შენობები. ახლა ყველაზე მაღალი ნაგებობა 36 სართულიანია.**



შეხვედრა დედაქალაქთან

დღეს თბილისში გასტროლებს იწყებს გათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრი

როდესაც თვალს გადაავლებ ბათუმში თეატრალური ხელოვნების ზრდა-განვითარებას, სიამაყის გრძნობა გიპყრობს, რომ მის შექმნას დიდი ამაგი დასდეს ჩვენმა სასიქადულო მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა — ილია ჭავჭავაძემ, აკაკი წერეთელმა, დავით კლდიაშვილმა, ივანე მესხმა და სხვებმა.

ეს იყო კარგა ხნის წინათ. მას შემდეგ, განსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლების წლებში, თეატრი შემოქმედებითად დავაჟკაცდა, თანდათან გამოიკვეთა მისი სახე, აღიზარდნენ ადგილობრივი მსახიობები. ამან შესაძლებელი გახადა შექმნილიყო მუდმივმოქმედი ქართული პროფესიული დრამატული თეატრი.

ახლა ბათუმის თეატრში მოღვაწეობენ მსახიობები, რომლებმაც მაყურებლის დიდი სიყვარული მოიპოვეს. ფართო საზოგადოებრიობის აღიარება დიამსახურეს საქართველოს სსრ სახალხო არტისტების ი. კობაღაძის, მ. ხინიკაძის და სხვების მიერ შექმნილმა სცენურმა სახეებმა. მათ მხარში უდგას ნიჭიერი ახალგაზრდობა.

ბათუმის თეატრის ახლანდელი შემოქმედებითი შეხვედრა თბილისელებთან მით უფრო პასუხსაგები და საინტერესოა, რომ იგი დიდი ღღესასწაულის — საქართველომის საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა და საქართველოს კომუნისტური პარტიის შექმნის 50 წლისთავის წინ ეწყობა.

შემოქმედებითი კოლექტივი გრძნობდა ამ დიდ პასუხისმგებლობას და მონდომებით ემზადებოდა გასტროლებისათვის.

თბილისელი მაყურებელი პირველად ნახავს ვ. ი. ლენინის იუბილესადმი მიძღვნილ რესპუბლიკურ კონკურსში გამარჯვებული ნ. დუმბაძის რომანის „ნუ გეშინია, დედა" მიხედვით შექმნილ სპექტაკლს. ჩვენი მიზანი იყო მართლად, გულწრფელი ლირიზმით გვიჩვენებინა (ისე, როგორც ეს რომანშია) მთავარი პერსონაჟის — ავთო ჯაფლის მორალური ფორმირება, მოქალაქეობრივი შეგნების გამოკვეთა და განმტკიცება, გვიჩვენებინა, რომ ავთო ჯაფლი მარტო სახელმწიფო საზღვარს კი არ იცავს, არამედ დარაჯად უდგას სიკეთეს, მეგობრობას, სიყვარულს. ვფიქრობთ, სპექტაკლი ხელს შეუწყობს ისეთი ქართველი ახალგაზრდების აღზრდას, რომ მათ მოიმედე საშობლოს შეეძლოს თქვას: „არ მომინია, შვილებო". პიესა დადგა რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ. ავთო ჯაფლის როლს ასრულებს თეატრის მთავარი რეჟისორი, პოპულარული მსახიობი გ. ქავთარაძე.

ვიმედოვნებთ, დედაქალაქელი მაყურებლები ხალისით ნახავენ შექსპირის კომედიას „მეთორმეტე ღამეს", რომელიც თეატრის მთავარმა რეჟისორმა გ. ქავთარაძემ დადგა. სპექტაკლი გამედლად და ახლებურად არის გადაწყვეტილი. დამდგმელი შეეცადა ორგანულად შეერწყა ერთმანეთისათვის ბუფი, ფარსი (როგორც დასავლეთ ევროპის საშუალო საუკუნეთა სახალხო თეატრის სახეობა) და კომედია, მოქმედებაში ეჩვენებინა დიდი დრამატურგის ჯანსაღი, ხალისით გამსჭვალული, გაბედული მასვილსიტყვაობა, ხალხური ცხარე სანელებლით შეკაზმული ოხუნჯობა.

ბათუმელი დრამატურგის ალ. ჩხაიძის პიესა „ხიდი" რამდენიმე ქართულ თეატრში დაიდგა. ნაწარმოები მიმართულია ჩვენს ყოფაში ჯერ კიდევ შემორჩენილი პარადუალობის, თვითნებობის, კარიერიზმის წინააღმდეგ, ამხილებს ამ სენით შეპყრობილ ადამიანთა დაუნდობლობას. ის გარემოება, რომ უსამართლობას გაბედულად და მგზნებარედ ებრძვის ახალგაზრდა იურისტი, მაყურებელს განუმტკიცებს რწმენას, რომ ამ უსამართლობას დიდი დღე არ უწერია.

ბუშმარიტი ტრაგიკული პათოსით არის აღბეჭდილი ვაჟა-ფშაველას პოემები „ალუდა ქეთელაური" და „სტუმარ-მასპინძელი", რომლებშიც დიდებულმა მგოსანმა სულის შემძვრელი სიმძაფრით საცნაურყო ტომობრივი და სარწმუნეობრივი ფანატიზმის საშინელება, განგვაცდევინა ჰუმანიზმის კეთილშობილური იდეალებისათვის გამოღვიძებული სულის მშვენიერება. ჩვენმა თეატრმაც სცადა სცენაზე გაეცოცხლებინა ვაჟას გმირები.

ჩვენს სპექტაკლებში ნახავთ უფროსი თაობისა და ახალგაზრდა მსახიობებს, რომლებიც ერთნაირი შემართებით იღწვიან გამომსახველობითი ფორმების სრულყოფისათვის; იჯრნობთ რეჟისორების ზრუნვას სცენური სინამდვილე მიუახლოონ ცხოვრებისეულს, რათა იგი აღბეჭდილი იყოს სიმართლითა და გულწრფელობით.

ამ ოთხი სპექტაკლით ვაბარებთ შემოქმედებითს ანგარიშს თბილისელ მაყურებელს და მოველით მის სამართლიან მსჯავრს.

შ. დავითაძე,

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო თეატრის დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

ნანა ალექსანდრიამ თასი მოიპოვა

როგორც „კომუნისტის" მკითხველებმა იციან, ევროპის ჩემპიონთა თასი ჭადრაკში ქალთათვის მეორეჯერ გათამაშდა. პირველ ასეთ ასპარეზობაში წარმატება მსოფლიოს ჩემპიონს ნონა გაფრინდაშვილს ხვდა. წელს ამ შეჯიბრებაში საბჭოთა კავშირიდან გამოდიოდა სსრ კავშირის სამგზის ჩემპიონი, საერთაშორისო ოტატი ნანა ალექსანდრია, რომელსაც მწვრთნელად ახლდა საერთაშორისო გროსმაისტერი ბ. გურგენიძე.

ტურნირი, რომელიც იუგოსლავიის საკურორტო ქალაქ ვრნიაჩკა-ბანიაში მიმდინარეობდა, მეტად ძლიერი შემადგენლობის აღმოჩნდა. ჩვენი თანამემამულე ნანა ალექსანდრია ჩინებულად იბრძოდა. მან მოიგო 10 პარტია, 3 ყაიმით დაამთავრა და მხოლოდ 1 შეხვედრა წააგო მ. ლაზარევიჩთან. უკანასკნელ ტურში ნ. ალექსანდრიამ ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ბულგარელ გეორგიევასთან, 11,5 ქულა შეაგროვა და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი გახდა.

მომდევნო ორი ადგილი თერთმეტ-თერთმეტი ქულით დაიკავეს საერთაშორისო ოსტატებმა რუმინელმა ა. ნიკოლაუმ და იუგოსლავიელმა მ. ლაზარევიჩმა.

* * *

ტურნირის: ნანა ალექსანდრია.

ფოტო ა. საკოვიჩისა.

კალათბურთის ფართან

თბილისის სპორტის სასახლეში შედგა საერთაშორისო და საკავშირო ჩემპიონატის მატჩები კალათბურთში ვაჟთა გუნდებისათვის.

საერთაშორისო შეხვედრა იორდანის ნაკრებსა და თბილისის „ბურევესტნიკს" შორის დამთავრდა თბილისელთა გამარჯვებით 104:90. სტუმრებმა წააგეს აგრეთვე თბილისის „დინამოსთან" 79:111.

მატჩი თბილისის „დინამოსა" და კიევის „სტროიტელის" გუნდებს შორის დამთავრდა კიეველთა გამარჯვებით 80:71 (39:35).

ფეხბურთი-71

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა მიიღო დადგენილება ფეხბურთში 1971 წლის საკავშირო ჩემპიონატის გამართვის შესახებ.

„ა" კლასის გუნდები გაყოფილია სამ — უმაღლეს, პირველ და მეორე ლიგებად.

უმაღლეს ლიგაში შედის 16 გუნდი — **ცსკა, „დინამო"** (მოსკოვი), **„სპარტაკი"** (მოსკოვი), **„დინამო"** (თბილისი), **„ზარია"** (ვოროშილოვგრადი), **„ტორპედო"** (მოსკოვი), **„დინამო"** (კიევი), **ცსკა** (დონის როსტოვი), **„დინამო"** (მინსკი), **„შახტიორი"** (დონეცკი), **„ნეფტჩი"** (ბაქო), **„არარატი"** (ერევანი), **„პახტაკორი"** (ტაშკენტი), **„ზენიტი"** (ლენინგრადი), **„კარპატი"** (ლვოვი), **„კაირატი"** (ალმა-ათა).

პირველ ლიგაში შევიდა 22 გუნდი. ესენი არიან — „ჩერნომორეცი" (ოდესა), „ტორპედო" (ქუთაისი), „სპარტაკი" (ორჯონიკიძე), „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი), „მეტალისტი" (ხარკოვი), „დინამო" (ლენინგრადი), „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი), „რუბინი" (ყაზანი), „შახტიორი" (ყარაგანდა), „ალგირისი" (ვოლგოგრადი), „მოლდოვა" (კიშინიოვი), „ტექსტილშჩიკი" (ივანოვო), „ვოლგარი" (ასტრახანი), „ურალმაში" (სვერდლოვსკი), „დაუგავა" (რიგა), „ამირი" (დუშანბე), „ალგა" (ფრუნზე), „სტროიტელი" (აშხაბადი), „მეტალურგი" (ზაპოროჟიე), „შინიკი" (იაროსლავლი), „კუზბასი" (კემეროვო).

მეორე ლიგის 116 გუნდი გაყოფილია ექვს ზონად. ზონებში გამოვლენ რსფსრ-დან 63, უკრაინიდან — 26, ბელორუსიიდან — 5, უზბეკეთიდან — 5, ყაზახეთიდან — 7, საქართველოდან — 6, სომხეთიდან — 2, აზერბაიჯანიდან — 2 გუნდი. საქართველოს გუნდები შევიდნენ მეოთხე ზონაში. ესენი არიან ბათუმის „დინამო", გორის „ფილა", რუსთავის „მეტალურგი", ლანჩხუთის „გურია", მახარაძის „მერცხალი" და ტყიბულის „მეშახტე".

უმაღლეს ლიგაში მე-15 და მე-16 ადგილებზე გამოსული გუნდები 1972 წელს ითამაშებენ პირველ ლიგაში, მათ ადგილებს კი დაიკავებენ პირველ ჯგუფში გამარჯვებულები.

უმაღლეს ლიგაში ჩემპიონატი დაიწყება 1 აპრილიდან და გაგრძელდება 5 ნოემბრამდე, პირველ და მეორე ლიგებში კი 5 აპრილიდან 16 ნოემბრამდე. სსრ კავშირის თასის გათამაშება უმაღლესი და პირველი ლიგის გუნდებისათვის დაიწყება 5 მარტს, ფინალი შედგება მოსკოვში ფიზკულტურის საკავშირო დღეს.

ფინალისაპასუხალდლო ტურნირი

ჩვენი ქვეყნის თავისუფალი სტილის მოჭიდაველებმა 1970 წლის სეზონი ბაქოს ტურნირით დამთავრეს. მონაწილეობდნენ — უკრაინის, საქართველოს, აზერბაიჯანის, ყაზახეთის, სომხეთის, თურქმენეთის, ყირგიზეთის მოჭიდაველები.

წონითი კატეგორიების მიხედვით პირველი ადგილები და პრიზები მოიპოვეს — ნ. კულიევმა, რ. გაჯიევმა (ორივე ბაქოდან), ტ. ალიბეგაშვილმა (თბილისი), პ. მალიანმა (სომხეთი), ჩ. კულიევმა (აზერბაიჯანი), რ. ჩგეგმოვმა (უკრაინა), ა. ილურიძემ (საქართველო), ნ. მუსაევმა (ბაქო), ნ. მუხანოვმა (უკრაინა), ზ. მაჩიტიძემ (ბაქო).

ტელევიზია

22 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — კინონარკვევი, 11.35 — მხატვრული ფილმი „თეთრი როიალი", 12.56 — „ექიმთა დასახმარებლად", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — კინონარკვევი, 18.30 — განცხადებები, 18.35 — გადაცემა ბავშვებისათვის „სულ სხვა არის ჩემი სკოლა", 19.05 — ბავშვებისათვის — „მოდი, ზღაპარო" (გადმოცემა მოსკოვიდან), 19.30 — სატელევიზიო ჟურნალი „ტექნიკის სამყაროში", 19.50 — „ამდერებული სალამური", 20.20 — გადაცემა „ლენინური გვარდიის ჯარისკაცები" — ვანო სტურუა, 20.45 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 21.10 — „ხელოვნების საგანძური", 21.30 — საქართველოს ფერადი ტელევიზია. „კინოობიექტივი".

23 დეკემბერი

11.05 — ახალი ამბები — (გადმოცემა მოსკოვიდან), 11.15 — მხატვრული ფილმი — „მომეცით საჩიერის წიგნი", 17.00 — სკოლების დასახმარებლად — „ხალხთა მეგობრობის თემა ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში", 18.05 — ახალი ამბები, 18.10 — განცხადებები, 18.15 — მოსწავლეთათვის — „ისინი თქვენი ბედნიერებისათვის იბრძოდნენ", 18.45 — „ციკლიდან „დიადი წლების ქრონიკა" — 1943 წელი, 19.00 — კინონარკვევი, 19.10 — გადაცემა — „ფართო გზა. კომპლექსურ მექანიზაციას", 19.30 — „მოამბე" — საინფორმაციო პროგრამა, 20.00 — კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე. კამერული კონცერტის ტრანსლაცია რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზიდან. კონცერტის შემდეგ — საქართველოს ფერადი ტელევიზია. მხატვრული ფილმი — „გრძელი დღის დილა".

თეატრები

22 დეკემბერი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — სოფლის პატიოსნება; **რუსთაველის სახელობის მცირე დარბაზი** — ხიდი (პრემიერა); **გრიბოედოვის სახელობის** — ადგილი დაუთმე ხვალინდელ დღეს (უპირველესად); **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — ჩემი სიდედრი; **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — დივიზია № 16 (№ 31 აბონ. 5 ს. და 30 წ.).

კინო

22 დეკემბერი

ამირანი, საქართველო (წითელი დარბაზი), ისანი, გაზაფხული, სპარტაკი, კოლხიდა, თბილისი, პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, გორკის სახელობის კულტურის სახლი — **სიყვარულის სილამაზე;** ოქტომბერი, ვარძია — **საუცხოო ღლეები შეესარტეს;** საქართველო (მწვანე დარბაზი), 26 კომისრის სახელობის (წითელი დარბაზი), ყაზბეგი (მეორე დარბაზი) — **ვეფხვის ნაკვალევზე;** 26 კომისრის სახელობის (მწვანე დარბაზი) — **ერთ-ერთი ქალიშვილი;** ნაკადული, სიხარული — **შვიდდღიანი ვადა;** თანამგზავრი — **განთავისუფლება** (I, II სერია); ეკრანი — **ეს არის შეშლილი, შეშლილი, შეშლილი მსოფლიო** (I, II სერია); კოლმეურნე — **მოლოდინი;** ყაზბეგი (პირველი დარბაზი) — **ყამი ცხოვრებისა.**

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

რამდენიმე სტრიქონით

● **ბელგიაში** დამთავრდა ჩვენი ქვეყნის პირველობის გათამაშება ჭადრაკში ქალთა შორის, მაგრამ მას ჩემპიონი არ გამოუვლენია. ა. კუშნირმა და მ. რახიკუმ 14-14 ქულა შეაგროვეს და პირველი და მეორე ადგილები გაიყვეს. ჩემპიონის გამოსავლენად ა. კუშნირსა და მ. რახიკუს შორის მოეწყობა 6 პარტიისაგან შემდგარი მატჩი.

● **ბელგრადში** დამთავრდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშება წყალბურთში. საბჭოთა კავშირიდან შეჯიბრებაზე გამოდიოდა მოსკოვის „დინამო". გადამწყვეტ მატჩში დინამოელები დამარცხდნენ იუგოსლავიის „პარტიზანთან" 3:4. ჩემპიონთა თასი მოიპოვა „პარტიზანის" გუნდმა. მეორე იყო ზაგრების „მლადოსტი". დინამოელებმა მესამე ადგილი დაიკავეს.

● **ევროპის ჩემპიონატის** მესამე შესარჩევ ჯგუფში ლიდერი გახდა შვეიცარიის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი, რომელმაც დაამარცხა მალტის გუნდი 2:1, ადრე კი მოუგო საბერძნეთის ნაკრებს 1:0 და 4-დან 4 ქულა აქვს.

● **ბერლინში** ფინიში ჭკონდა საერთაშორისო ტურნირის ხელბურთში ვაჟთა გუნდებისათვის. წარმატება მსოფლიოს ჩემპიონებს რუმინელებს ხვდათ, რომლებმაც გადამწყვეტი მატჩი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გუნდთან მოიგეს 16:12. მოსკოვის ნაკრებმა ფინალურ ტურნირში მხოლოდ 1 ქულა შეაგროვა.

რედაქტორი
დ. მჭედლიშვილი.

კომუნისტი — თბილისი ლენინის 14, რედაქტორის მოადგილეების — 99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, მრეწველობის — 93-20-34, სოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, სატირისა და ფელეტონის — 99-60-21, უცხოეთის — 93-95-97, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 უე 13363

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. 14.